მესხეთის უნივერსიტეტი

№ 9 (256) ოქტომბერი, 2018 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

„ეროვნებისათვის უეწიჯული“

სამეცნიერო სესია, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა 18 ოქტომბერს, მიეძღვნა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, რომის კათოლიკური ეკლესიის აბატის, თეოლოგიის დოქტორის, პროფესორ მიხეილ თამარაშვილის დაბადებიდან 160 წლის იუბილეს. ღონისძიების ორგანიზატორები – ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მიხეილ თამარაშვილი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას და მთელი ცხოვრება იბრძოდა საქართველოს ისტორიის გამყალბებლების, ცილისმწამებლების, მატერიალური და კულტურული ძეგლების მიმთვისებლების წინააღმდეგ, ახალციხის შვილი გახლდათ. სამეცნიერო სესიის მსმენელთა თუ მონაწილეთა რაოდენობამ, სესიაზე გაჟღერებულმა წინადადებამ ახალციხეში მიხეილ თამარაშვილის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, ცხადყო, თუ რა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გრძნობს მიხეილ თამარაშვილის მიმართ ქართველი საზოგადოება. სამეცნიერო სესიას ესწრებოდნენ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, ახალციხის საჯარო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. სამეცნიერო სესიას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა მიხეილ თამარაშვილის შთამომავალთა სტუმრობამ. სესიის დაწყებამდე, დამსწრე საზოგადოებას აჩვენეს რეზო თაბუკაშვილის ფილმი „კვალი ნათელი“.

გაგრძელება მე-2 გვ.

ქართული ხასიათი

ისტორიულ-ფსიქოლოგიური ნარკვევი

უჩა ბლუაშვილი
პროფესორი

ყოველი ხალხის მენტალიტეტს, მის ნიშან-თვისებებს და ხასიათს მისი ისტორიული წარსული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკა, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და სხვა მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. ქართული ხასიათის ძირებიც ჩვენს ისტორიულ წარსულშია საძიებელი. აურაცხელ მტერთან გამუდმებული ომები, ცენტრალური ხელისუფლების ქრონიკული სისუსტე, ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ლანდშაფტის მრავალფეროვნება საუკუნეების მანძილზე ძერწავდა ქართველთა ხასიათს. ჩვენი ისტორიის ჟამთააღმწერელნი უძველესი დროიდან ჩაჰკირკიტებდნენ ამ ფენომენს, ცდილობდნენ, აეხსნათ მისი რთული და წინააღმდეგობრივი ბუნება. ქართულ ხასიათზე წერდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ უცხოელებიც.

გაგრძელება მე-8 გვ.

ვულოცავთ

2018 წლის 20 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტმა **ნათელა მელიქიძემ** წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“.** სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე. ქართველ პროფესორებთან ერთად დისერტანტს ოპონირებას უწევდა არტაანის უნივერსიტეტის პროფესორი, ვედი აშქაროღლუ.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ულოცავს ქალბატონ ნათელას დისერტაციის წარმატებით დაცვას და უსურვებს ყოველივე საუკეთესოს.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პირველი საღოქტორო დისერტაცია ენათმეცნიერებაში

გვ.4

სიყვარულის ფერწერი მესხეთის თეატრიდან

გვ.6

მაყვალა დავითაძის პოეზია

„შემოდგომაა... უჭირს სიყვარულს...“

* * *

ზეცამ მზის სხივით აივსო კალთა,
ატმის ყვავილმა იფეთქა ეშხით,
ეს გაზაფხული ასე რად მტკივა?!
ლურჯი იების ღიმილი შემშლის!
მოდი, შემასვი წყარო იმედის,
სად ხარ, უჩემოდ როგორ ხარ
მარტო?
ერთად გეძახით მე და აპრილი
და ერთად გნატრობთ...

გვ.7

სამეცნიერო მიმლიოთეკას უნიკალური გამოცემები შეემატა

გვ.9

ეეცი ვაკანცუჩი ადგილი და ეჩაკვალფეჩოვნეკა – სტუდენტთა დასაქმება

უნივერსიტეტი წარმატებით პასუხობს სწავლა-სწავლების ახალ მიდგომებს

გვ.10

საველე დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია ასპინძის მუნიციპალიტეტში

გვ.11

„და ამოვიდა ია“

გოდერძი ჩოხელის გახსენება

გვ.12

„მოყვასისათვის შეწირული“

პირველი გვერდიდან

სამეცნიერო სესია გახსნა და აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ.** მან მადლობა მოახსენა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას ამ ღონისძიების იდეისთვის და აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, გასულ წლებშიც, მიხეილ თამარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ არაერთ სამეცნიერო სახის ღონისძიებას უმასპინძლა: **ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, რომის კათოლიკური ეკლესიის აბატი, ქართველი, მესხი, ახალციხელი, რაბათელი. კიდევ რამდენი არგუმენტი შეიძლება ვთქვათ იმისათვის, რომ დღევანდელი დღის მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი გახდეს. მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებას ესწრებიან ახალგაზრდები და განსაკუთრებით მივესალმებით მათ. მადლობა პედაგოგებს, რომელთა რჩევითაც მოსწავლეები მოვიდნენ დღევანდელ ღონისძიებაზე. უნივერსიტეტში არაერთხელ გამართულა მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სახის ღონისძიება. ეს ტრადიცია, რა თქმა უნდა, კვლავ გაგრძელდება.**

ახალციხის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა, მიხეილ თამარაშვილის შთამომავალმა – **ზაზა თამარაშვილმა,** მადლობა მოახსენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მასპინძლობისთვის და ყურადღება ამ დღის მნიშვნელობაზე გაამახვილა. **მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც წლების მანძილზე როგორც სამეცნიერო, ასევე, საზოგადოებრივი მიმართულებით ყურადღებას იჩენდა მიხეილ თამარაშვილის მიმართ. დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სამეცნიერო სემინარის შემდეგ, გაიმართება სპექტაკლი, რომელიც მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას მიეძღვნება,** – აღნიშნა ზაზა თამარაშვილმა.

დღეს ვიხსენებთ ადამიანს, რომელმაც ყველაფერი შესწირა თავისი სამშობლოს კეთილდღეობას. მისი ცხოვრება არის მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი. დღეს ჩვენ აღვნიშნავთ იმ ადამიანის იუბილეს, რომელმაც საქართველოს ისტორიას უდიდესი მასალა დაუტოვა. მე, პირადად, როგორც პარლამენტის წევრი, ბევრს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბატონი მიხეილის სახელი იყოს მარადიული, – აღნიშნა საქართველოს პარლამენტის წევრმა **გიორგი კოპაძემ.**

მისალმებების შემდგომ, მოხსენებებით გამოვიდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: მერაბ ბერიძე – **„მიხეილ თამარაშვილის გვარის შესახებ“,** ნატო ყრუაშვილი – **„თანამედროვეთა დამოკიდებულება მიხეილ თამარაშვილისადმი“** და ციური ლაფაჩი – **„ივანე გვარამაძის გლოვა მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების გამო“.**

წეღან ვადევნებდი თვალს ფილმის კადრებს და მინდა ვთქვა, რომ მონაწილე ვიყავი მიხეილ თამარაშვილის დაკრძალვის ცერემონიალის. მიხეილ თამარაშვილის მიმართ დამოკიდებულება და დაფასება ისეთივეა, როგორიც მაშინ იყო, დღეს ისეთივე პათოსით ვართ. ბატონი მიხეილის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითო უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდებისთვის, – აღნიშნა პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** და დამსწრე საზოგადოებას მიხეილ თამარაშვილის გვარის შესახებ საინტერესო მოხსენება წარუდგინა.

პროფესორმა **ციური ლაფაჩმა** ისაუბრა ორი ბუმბერაზი თანამემამულის – ივანე გვარამაძისა და მიხეილ თამარაშვილის ურთიერთობის შესახებ. აღნიშნა, რომ ივანე გვარამაძესა და მიხეილ თამარაშვილს შორის ურთიერთობა რაბათის დაწყებითი სკოლიდან დაიწყო. აღნიშნული მოხსენებიდან საზოგადოებამ ბევრი საინტერესო რამ შეიტყო. **ის, რაც ერთი საუკუნის წინ აწუხებდა მიხეილ თამარაშვილის მოძღვარს, მათგან ზოგიერთი პრობლემა დღესაც აქტუალურია და საქართველოს მთავრობისაგან და საზოგადოებისაგან დროულ გადაწყვეტილებას ითხოვს. ამდენად, დღესაც მნიშვნელოვანია ამ ადამიანების ნააზრევი,** – აღნიშნა ქალბატონმა ციურიმ.

დღევანდელი სამეცნიერო სესია არის ერთგვარად დიდი ყურადღება მიხეილ თამარაშვილისადმი. აღიარება და დაფასება იმ ღვაწლისა, რასაც მიხეილ თამარაშვილი მთელი ცხოვრების განმავლობაში ეწეოდა. მე ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, თუ ასევე ვისაუბრებთ და ზოგიერთ მომენტს წამოვწევთ მისი თანამემამულეების მხრიდან მიხეილ თამარაშვილთან დამოკიდებულების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ მიხეილ თამარაშვილთან, საკმაოდ ბევრია, – აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** და დასძინა, რომ მიხეილ თამარაშვილსა და მის თანამედროვეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები შესაძლებელია, ცალკე კვლევის საგანი გახდეს და საინტერესო მოხსენებები მომზადდეს.

მოხსენებების წარმოდგენის შემდგომ, მიხეილ თამარაშვილზე კვალვ ბევრი ისაუბრეს.

მადლობა ქალბატონებს ნატო ყრუაშვილსა და ციური ლაფაჩს, რომ გაგვიცოცხლეს ბატონი მიხეილის საქმიანობა. ის საკითხები, რაც მაშინ იყო, დღესაც აქტუალურია. ბატონი მიხეილის ნააზრევი გვაძლევს საშუალებას, უფრო უკეთესად წარვმართოთ სამცხე-ჯავახეთის განვითარება. ყველამ უნდა იცოდეს ბატონი მიხეილის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე და ამის პოპულარიზაციაზე მუნიციპალიტეტი და უნივერსიტეტი ერთად უნდა ვზრუნავდეთ. დღევანდელი ჩვენი ღონისძიება, სწორედ, ასეთი თანამშრომლობის შედეგია, – აღნიშნა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ **გურამ მელიქიძემ.**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ნოზაძე** სამეცნიერო სემინარს არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს. **მიხეილ თამარაშვილი, ჩვენი დიდი მამულიშვილი არის და იქნება ჩვენი ისტორიის ჟამთააღმწერელი. მნიშვნელოვანია, რომ არ ვივიწყებთ ამ ადამიანის ამაგს, ღვაწლს. ჩვენ გვაქვს საშუალება, ჩავწვდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას. მადლობა უნივერსიტეტს იმისათვის, რომ ასეთ დიდ ადამიანებს ყოველთვის იხსენებს. ასევე, მადლობა მუნიციპალიტეტს ორგანიზებისთვის. მადლობა თამარაშვილის შთამომავლებს, რომ არ ივიწყებენ ბატონი მიხეილის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე.**

მიხეილ თამარაშვილის შთამომავალმა, **ანზორ თამარაშვილმა** გაიხსენა დიდი წინაპრის ცხოვრებიდან უმნიშვნელოვანესი მომენტები, ასევე, დეტალურად ისაუბრა რეზო თაბუკაშვილის მიერ მიხეილ თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენების ისტორიაზე და იმ შთაბეჭდილებებზე, რომელიც დაუტოვა მიხეილ თამარაშვილთან დაკავშირებით გამართულმა სხვადასხვა ღონისძიებამ. **დამიკავშირდა ბატონი რეზო და მითხრა, რომ მასთან ერთად ვყოფილიყავი და როგორც მიხეილის შთამომავალს, მონაწილეობა მიმეღო ბატონი მიხეილის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. დღესაც დიდია ის ემოცია, რაც მაშინ განვიცადე. აქვე მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, რომელთა ღვაწლი დიდია მიხეილ თამარაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისა და საზოგადოებისათვის გაცნობის საკითხებში.**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ** რეზო თაბუკაშვილის დამსახურებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ თუ არა რეზო თაბუკაშვილი, დღეს ქართულ საზოგადოებას ბატონი მიხეილის ნეშტი ქართულ მიწაზე შეიძლება არ ჰქონოდა. **კარგი იქნება, შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი, რათა ახალციხეში დაიდგას ბატონი მიხეილის ძეგლი,** – აღნიშნა ბატონმა ავთანდილმა.

დამსწრე საზოგადოების მხრიდან, აღნიშნული საკითხი მსჯელობის საგანი გახდა. გამოითქვა მოსაზრებები ახალციხეში ძეგლის დადგმის ადგილებთან დაკავშირებით. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მიესალმება მიხეილ თამარაშვილის ძეგლის უნივერსიტეტის ეზოში დადგმას. ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობას დაიწყებენ.

ღონისძიების დასასრულს, სახალხო მთქმელმა, **ვასილ კვინცხაძემ** მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა.

* * *

სამეცნიერო სესიის დასრულების შემდგომ, საზოგადოებამ უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსის სააქტო დარბაზში გადაინაცვლა, სადაც გაიმართა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის სპექტაკლი **„მოყვასისათვის შეწირული“.** ერთი მსახიობის თეატრის სტილში მაყურებლის წინაშე წარსდგა მსახიობი **იზა ვეფხვაძე.** სპექტაკლზე გაცოცხლდა მიხეილ თამარაშვილის ყრმობის, ახალგაზრდობის, საზღვარგარეთ მოღვაწეობის, მისი ტრაგიკულად დაღუპვისა თუ მისი გადმოსვენების ისტორია. სპექტაკლის დასრულების შემდგომ, ქალბატონ იზას მადლობა მოახსენეს საინტერესო გამოსვლისთვის. კიდევ ბევრმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება ამ ლამაზ დღესთან დაკავშირებით. მათგან, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მაკა ბერიძის სიტყვებს გამოვყოფთ, რითაც დავამთავრებთ მიხეილ თამარაშვილისადმი მიღძვნილ ღონისძიებაზე თხრობას.

მეამაყება, რომ იგივე ერის შვილი ვარ, ვისაც ასეთი დიდებული ადამიანები ჰყავდა. ბედნიერი ვარ, როდესაც საქართველოში შეიძლება გაჩნდეს ივანე გვარამაძე, მას ჰყავდეს მოწაფე მიხეილ თამარაშვილი. მერე ბედნიერებაა, რომ მიხეილ თამარაშვილის ცხოვრების გზაზე შეიძლება გაჩნდეს ისეთი დიდებული ადამიანი, როგორიც იყო რეზო თაბუკაშვილი. ბედნიერებაა, რომ მათი ისტორია დიდი ოსტატობით გადმოსცეს ისეთმა ქალბატონმა, როგორიცაა ქალბატონი იზა. მადლობა ვუთხრათ დღეს ყველას ამ დღისთვის, ყველას ამ ღონისძიებებზე მობრძანებისთვის.

ლიკა ზაზაშვილი

მიხეილ თამარაშვილი

ნატო ყრუაშვილი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი

სექტემბერში შესრულდა მიხეილ თამარაშვილის დაბადებიდან 160 წელი. იგი იმ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრეს განსაკუთრებული ყურადღება, საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი, სიცოცხლეშივე წილად ხვდათ დიდი აღიარება. განუზომელია მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ამიტომაც არის, რომ ქართველმა ერმა არ დაუკარგა თავისი ღვაწლი და მრავალგზის მიაგო პატივი. სისტემატურად ხდება მისი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, მისი ნაშრომების გამოცემა და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება.

მიხეილ თამარაშვილის საქმიანობის სფერო და მიმართულება განსაზღვრა XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში და, შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთში შექმნილმა შიდაპოლიტიკურმა ვითარებამ და ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის გაუარესებამ...

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1858 წლის სექტემბერში, ქალაქ ახალციხეში. მამამისი იყო პეტრე თამარაშვილი, დედა – გაიანე ბათმანაშვილი. პირველდაწყებითი განათლება მიიღო რაბათის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სკოლაში, ივანე გვარამაძესთან. სწორედ ივანე გვარამაძემ დაინახა, იმთავითვე, მიხეილის ნიჭიერება და შრომისმოყვარეობის უნარი და მიავლინა სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის სავანეში სასწავლებლად 1878 წელს.

სავანის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ქართველ კათოლიკეთა ძმობამ სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნა ესპანეთში სასულიერო სემინარიაში, სადაც სამი წელი დაჰყო. იგი ძმობამ კვლავ სტამბოლში მიიწვია და მღვდლად აკურთხა. მოგვიანებით მიხეილმა დაამთავრა პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი. ამ პერიოდში მან ბრწყინვალედ შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა: იტალიური, ფრანგული, ლათინური.

1888 წელს მიხეილი სამშობლოში დაბრუნდა და მღვდლად განწესდა თბილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. მისმა ქართულ ენაზე და ეროვნულ საკითხებზე ქადაგებებმა მრევლის რიცხოვნება გაზარდა. ეროვნული სულისკვეთების მღვდლის მოღვაწეობა რუსული მმართველობისათვის არასასურველი იყო. იგი გაძევებულ იქნა სამშობლოდან, დაბრუნება და ცხოვრება აუკრძალეს. ამიტომ, 1891 წელს კვლავ სტამბოლში, სავანეში ჩავიდა, იქიდან კი მალე გაემგზავრა რომში და სწავლა განაგრძო სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1894 წელს წარმატებით დაამთავრა, თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

XIX საუკუნის დასასრულის მდგომარეობით თბილისის ქართული კათოლიკური ეკლესიის დაკარგვის საშიშროება შეიქმნა, საჭირო გახდა, ისტორიული წყაროებით დაემტკიცებინათ მისი ქართული წარმომავლობა. აქედან გამომდინარე, 1892 წელს მიხეილმა საქართველოდან მიიღო დავალება, რომ ვატიკანის არქივებში შეეკრიბა საჭირო მასალა. ამიერიდან არქივებში მიხეილის მუშაობამ სისტემატური ხასიათი მიიღო. მისმა მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო: 1902 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი **„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის".** ნაშრომში თამარაშვილმა წარმოაჩინა მანამდე უცნობი და მეტად საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ. ამ ნაშრომს ქართველმა ინტელიგენციამ მაღალი შეფასება მისცა. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: **„მისი ქართველ კათოლიკეთა ისტორია დიდ განძად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწიგნობრობის ასპარეზზედ. იგი არის ჩვენი „მეორე ქართლის ცხოვრება!"** ამ ნაშრომის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ისტორიის დაწერა.

მოსე ჯანაშვილმა, მისმა თანამედროვე ისტორიკოსმა, როდესაც გაიცნო მისი პირველი ნაშრომი **„კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის",** აღფრთოვანებულმა ხმამაღალი განაცხადი გააკეთა: **„ეს მარტო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა, და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა", მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ქართლის ცხოვრება" უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნი კი პოლიტიკურსაც და ეთნოგრაფიულსაც".**

1904 წელს სტეფანე ზუბალაშვილის „წარსაგებელით", პეტრე მირიანაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის მხარდაჭერით, დაიბეჭდა მისი მეორე წიგნი – **„პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას".** წიგნის წინასიტყვაობაში მიხეილი წერდა, რომ მან პასუხი გასცა მხოლოდ იმ სომეხ მწერლებს, რომლებმაც თავიანთი სინდისის ფასად იცრუეს და ისტორიაში ჩაუხედავი მდაბიო ხალხის მოტყუება მოინდომეს. ამ წიგნმა აღაფრთოვანა ქართველი საზოგადოება და ილიას „ქვათა ღაღადი" გაახსენა მათ. **„ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის" შემდეგ ქართულ ენაზე ასეთი არაფერი დაბეჭდილა ქართველთა დამცირებისა და მოსპობის ჟინით ატეხილ მწერალთა ერთი წრის ასალაგმავად",** – წერდა თედო სახოკია.

მიხეილისთვის, როგორც ყველა ქართველისათვის, ილია უაღრესად საპატივსაცემო და საყვარელი მამულიშვილი იყო. ეს კარგად ჩანს მათი მიმოწერიდან. იგი განსაკუთრებით აღფრთოვანებული ყოფილა მისი „ქვათა ღაღადით", იმდენად, რომ როდესაც თავის მესამე ნაშრომს **– „პასუხად სომხის მწერლებს"** წერდა, ილიას ეს პუბლიცისტური წერილი „სახარებასავით მქონდა გადაშლილი. თვალს რომ ვავლებდი ძალა მემატებოდაო".

მიხეილ თამარაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის მესამე წიგნს – **„საქართველოს ეკლესიის ისტორია,"** რომელიც 1910 წელს გამოიცა. ივანე გვარამაძეს სწერდა – ადრე ჩემს მიერ გამოქვეყნებული წიგნები ამ წიგნთან მოსატანი და სახსენებელნიც არ არიანო. მიხეილ თამარაშვილმა დასახელებული წიგნი ფრანგულ ენაზე გამოსცა. იგი მოსე ჯანაშვილს სწერდა: **„მეტად საჭიროდ დავინახე ამნაირი ისტორიის ფრანგულად გამოცემა, რადგან ევროპაში თითქმის სრულებით არა იციან რა საქართველოს ისტორიისა და თუ იციან რამე, ისიც არეულ-დარეულად და შეცილებით თუ სომხებსა და თუ რუსების შეცდომილი წერილების წყალობით."** მან სწორად მიიჩნია, რომ ეს ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოს შესახებ ჯერ ევროპას უნდა გაეცნო. ქართულ ენაზე გამოცემის შემთხვევაში კი დიდი დრო დაიკარგებოდა, სანამ მოხდებოდა მისი რომელიმე ევროპულ ენაზე თარგმნა. მიხეილის მხრიდან ეს სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი ქართველმა მკითხველმა მხოლოდ 1995 წელს მიიღო მშობლიურ ენაზე. ნაშრომმა უდიდესი მოწონება დაიმსახურა ევროპაში, ვატიკანმა სპეციალური პრემიაც კი მიანიჭა. ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს I-XX საუკუნეებს და, შესაბამისად, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით წარმოაჩინა საქართველოში ქრისტიანობის ოცსაუკუნოვანი ისტორია, ე.ი. ქრისტიანობის გავრცელებიდან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის წარმოებული ბრძოლის პერიოდს. ნაშრომის წინასიტყვაობაში კი ავტორმა ჩამოაყალიბა ქართული ეკლესიის ისტორიის ლაკონური დახასიათება. იქვე აქვს მოცემული დასკვნა მის შესახებ: **„იგი (ქართული ეკლესია) უფრო მეტად ეწამა თავისი სარწმუნოების დასაცავად, ვიდრე ყველა აღმოსავლური ეკლესია ერთად აღებული".**

ქართველმა საზოგადოებამ მიხეილის სიცოცხლეშივე აღიარა მისი დამსახურება ერის წინაშე. ევროპელმა და ქართველმა ისტორიკოსებმა უმაღლესი შეფასება მისცეს მის შრომებს. ალექსანდრე ხახანაშვილი მიხეილს მიიჩნევდა ყველაზე დიდ ავტორიტეტად სასულიერო საკითხთა კვლევის საქმეში. ამიტომაც იყო, რომ როდესაც მოინდომა სახარებისა და სრულყოფილი ბიბლიის ქართულ ენაზე გამოცემა, რედაქტორობა მიხეილს შესთავაზა. ერთი უცნობი ავტორი კი 1911 წელს წერდა: **„მან გარდა ვატიკანისა და რომის წიგნთსაცავებისა, შეისწავლა მრავალი წყაროები ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის, ტრაპიზონის და სხვა არქივებში. ყოველივე ეს მასალად გამოიყენა და კიდევ აპირებდა ეხლა დიდი საისტორიო წიგნის შედგენას. ბევრი ქართველი ყოფილა რომში, მაგრამ არც ერთ მათგანს ეს დიდ-ძალი მასალა არ უხელმძღვანელებია და იმ წყაროებისთვის არ მიუგნია..."**

მიხეილ თამარაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ 1878 წლიდან, წლების განმავლობაში, საზღვარგარეთ მოღვაწეობდა, მიმოწერა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამშობლოში მყოფ ქართველ მოღვაწეებთან. მათთან თანამშრომლობდა და ზრუნავდა ქვეყნის მომავალზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ მათგანს არც კი იცნობდა და საერთოდ არ ჰყავდა ნანახი. ამას ხელი არ შეუშლია მათი თანამოაზრეობისათვის, თანამშრომლობისათვის და ეროვნული საქმის ერთად კეთებისათვის. ქართველი მოღვაწენი თვალს ადევნებდნენ მიხეილის სამეცნიერო შრომას. მიხეილი ქართველმა საზოგადოებამ მიიღო და აღიარა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე. ეს იყო 1897 წელი, როდესაც მან ივერიის ფურცლებზე მოამზადა თავისი პირველი საგაზეთო სტატია. უცხო ქვეყანაში თამარაშვილის ტიტანური შრომა მათ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. მიხეილისადმი კეთილად და სიყვარულით განმსჭვალული ადამიანების რიცხვი ძალზედ დიდი იყო. ასეთ ადამიანთა შორის იყვნენ როგორც უცხოელნი, ასევე მისი თანამემამულენი. მის არქივში ინახება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ცნობილ მოღვაწეთა წერილები. კერძოდ, მას მიმოწერა ჰქონდა: ილიასთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან, მოსე ჯანაშვილთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, ზუბალაშვილებთან, სიმონ ქვარიანთან, გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილთან და ა.შ.

მიხეილს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა თავის მასწავლებელთან ივანე გვარამაძესთან, ვის გვერდითაც და მხარდამხარ უწევდა ცხოვრება და მოღვაწეობა. უსასრულოდ შეიძლება საუბარი მათ ურთიერთობაზე. ეს იყო მასწავლებლისა და მოსწავლის, ორი თანამემამულის, ორი თანამოაზრის მამა-შვილური დამოკიდებულება. მიხეილის ყველა ნაშრომის დაწერაში მას დიდი წვლილი შეჰქონდა. და ბოლოს მისი გარდაცვალების ცნობამ სიცოცხლე მოუსწრაფა. ივანე გვარამაძის გოდება მიხეილის გარდაცვალების გამო არის უდიდესი ტკივილის გამოხატვა.

ძალზედ მნიშვნელოვანია მიხეილისადმი ალფონს ხითარიშვილის დამოკიდებულება. ის იყო პიროვნება, რომელიც დახვდა სავანეში ჩასულს. იყო მისი მასწავლებელი, უფროსი მეგობარი. და როდესაც ასაკი მოეძალა, გადაწყვიტა, რომ სწორედ მიხეილისათვის ჩაებარებინა სავანის წინამძღოლობა. თავის შემცვლელად მიაჩნდა. და მიუხედავად იმისა, რომ მიხეილმა სურვილი ვერ შეუსრულა, განუცხადა, რომ სავანის კარი მისთვის მუდამ ღია იქნებოდა.

მიხეილ თამარაშვილის მასალებში ინახება მრავალ ქართველ მამულიშვილთა თუ უცხოელთა მიერ მისადმი გაგზავნილი წერილები. აღნიშნული წერილები დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურის მუზეუმში, ახალციხის მუზეუმში, ასევე, სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ფონდ-არქივში. წერილები საშუალებას იძლევა იმ ადამიანთა ვინაობის დადგენისას, ვისთანაც მას წლების მანძილზე ჰქონდა მიმოწერა, უზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს, აზრებს, ზოგსაც – გულისტკივილს. მათი რაოდენობა ძალზედ დიდია. ყველა მათგანი დღეისათვის ერთგვარ წყარო-მასალას წარმოადგენს, რამდენადაც მათში დაცულია მდიდარი ინფორმაცია მიხეილის მოღვაწეობისა და სიცოცხლის ბოლო წლების შესახებ. ასევე, მრავალი საკითხია გაშუქებული და შეიცავს საინტერესო მასალას.

მიხეილ თამარაშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევაში. იგი აღიარეს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უპირველეს მკვლევარად. მან ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას. თავისი მოღვაწეობით ერთგვარი ხიდი გასდო ევროპასა და საქართველოს შორის.

პირველი სადოქტორო დისერტაცია ენათმეცნიერებაში

ლამზირა კობაიძე
ასოცირებული პროფესორი

2018 წლის 20 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის ქართველოლოგიის მიმართულების დოქტორანტის **ნათელა მელიქიძის** სადისერტაციო ნაშრომის – **„ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“** – დაცვა. თემის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი მერაბ ბერიძე. ეს დღე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი და გამორჩეული იყო. სხდომა გახსნა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.** იგი მიესალმა სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ კომისიას, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აუცილებელია თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. თავმჯდომარედ დასახელდა პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე,** ხოლო მდივნად – ასოცირებული პროფესორი **მაია ქუქჩიშვილი.** აქვე წარმოგიდგენთ დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობას: ასოცირებული პროფესორი – **მაკა ბერიძე,** პროფესორი – **ტარიელ ფუტკარაძე,** ასოცირებული პროფესორები – **მაია ქუქჩიშვილი, ინგა ღუტიძე, რევაზ ძნელაძე.**

სხდომის მსვლელობის პროცესში, სადისერტაციო დარგობრივი კოლეგიის თავმჯდომარემ პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დოქტორანტის – ნათელა მელიქიძის ბიოგრაფიული მონაცემები. შემდეგ სიტყვა გადასცეს დოქტორანტს, რომელმაც შესანიშნავად წარადგინა დამსწრე საზოგადოების წინაშე თავისი სადისერტაციო შრომა. მან ისაუბრა ნაშრომის სიახლესა და კვლევის მეთოდებზე. წარმოგვიდგინა ნაშრომის სტრუქტურა და შემადგენლობა. აღნიშნა, რომ ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავისა და დასკვნებისაგან. **პირველი თავი** მოიცავს ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმებს ისტორიული წყაროების მიხედვით, **მეორე თავი** – ასპინძის მუნიციპალიტეტში გავრცელებულ მეტსახელებს, **მესამე თავი** – მაჰმადიანი მოსახლეობის გვარსახელებს, **მეოთხე თავი** – გვარის განაყოფთა სახელებს ასპინძის მუნიციპალიტეტში და ბოლოს – დასკვნები. დისერტანტმა ღირსეულად და დასაბუთებულად გასცა პასუხი თითოეულ რეცენზენტს, რითაც საზოგადოებისა და აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უფრო მეტად დაამშვენა თურქეთის დელეგაციამ, ნაშრომის ექსპერტის, **ვედი აშკაროღლუს** ხელმძღვანელობით. ბატონი ვედი არტაანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. როგორც ჩანს, კომპეტენტური პიროვნება გახლავთ ამ სფეროში. ჩვენი უნივერსიტეტიდან მასთან გაიგზავნა სადისერტაციო ნაშრომი 30-40 გვერდის მოცულობით, ინგლისურ ენაზე თარგმნილი. მისი კვლევის სფერო შედარებითი ფილოლოგიაა. მას აქვს დიდი გამოცდილება, არის რამდენიმე წიგნის ავტორიც და აქტიური მკვლევარიც, შესანიშნავად ფლობს ინგლისურ ენას.

ნათელა მელიქიძის ნაშრომი ჩვენმა უცხოელმა ექსპერტმა დადებითად შეაფასა და მოგვცა კიდეც საგულისხმო რჩევები სამომავლოდ.

აქვე წარმოგიდგენთ დანარჩენი ოპონენტების რეცენზიებს, ამონარიდების სახით.

ქეთევან გოდერძიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ორმაგად მნიშვნელოვანია. იგი ეხმიანება ლინგვისტიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა ანთროპონიმიკა. ასევე, დისერტანტის ნაშრომი მრავლისმომცველია. საკვლევ რეგიონად აღებულია საქართველოს ძირძველი მხარე სამცხე-ჯავახეთი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაცვა ხდება სამცხეში, რომელიც უფრო ადრეც წარმოადგენდა ქართული სულიერების, კულტურისა და განათლების კერას. ვფიქრობთ, რომ აქ სადისერტაციო საბჭოს არსებობა გამოძახილია სწორედ ამ ძველი კულტურის და გილოცავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი ქართველოლოგიური სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ბედნიერებას. მადლობა, რომ მომიწვიეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული დისერტაციის რეცენზენტად.

მურად კემულარიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი და თითოეული თავი მეცნიერული აღღოთია განხილული. ნაშრომის თითოეული მონაკვეთი ნათელ სურათს ჰფენს იმ ისტორიულ ქარტეხილებს, რომლებიც მრავლად იყო სამცხე-ჯავახეთში. ნათელა მელიქიძე, როგორც ამ კუთხის მკვიდრი, მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია აღნიშნულ თემას. ნაშრომი წარმოადგენს სერიოზულ კვლევას და აუცილებელია მისი წიგნად გამოცემა, არამარტო ქართულად, არამედ თურქულ, აზერბაიჯანულ ენებზეც. ასეთი კვალიფიციური ნაშრომი შეიძლება იმ ტრაგიკული ბედის ქართველების სულის მოსახსენიებელიც იყოს. მისაბაძი და მისასალმებელია ნათელა მელიქიძის ასეთი სერიოზული და მაღალი დონის ნაშრომის შექმნა მომავალი თაობებისათვის.

ასრათ ომარაშვილმა აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ნათელა მელიქიძის სადოქტორო ნაშრომი თემაზე – „ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“ წარმოადგენს დასრულებულ კვლევას. იგი შესრულებულია ასეთი კატეგორიის ნაშრომებისადმი წაყენებული პირობების დაცვით მაღალ დონეზე, რაც შესაძლებლობას იძლევა, ნაშრომი შეფასებული იქნეს ფრიადზე.

რეცენზენტმა **როინ ყავრელიშვილმა** აღნიშნა, რომ დისერტანტს დიდი და შრომატევადი სამუშაო გაუწევია. ავტორეფერატი და დისერტაციის გარშემო გამოქვეყნებული სტატიები ერთმანეთს ემთხვევა. დისერტაცია აცნობს მკითხველს იმ წყაროებს და ლიტერატურას, რომლის გარეშეც შეუძლებელია არა მხოლოდ ასპინძის მუნიციპალიტეტის, არამედ მთელ სამხრეთ საქართველოში მიმდინარე პროცესების კვლევას როგორც ლინგვისტური, ასევე, ისტორიული თვალსაზრისით. ამიტომ ვშუამდგომლობ სადისერტაციო საბჭოს წინაშე – ნათელა მელიქიძეს მიენიჭოს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მე, როგორც რეცენზენტმა, აღვნიშნე, რომ მონოგრაფიულად აქამდე შეუსწავლელი ასპინძის ანთროპონიმია, რომელიც ნათელა მელიქიძის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომია, კიდევ ერთი ფურცელია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ანთროპონიმთა შესწავლის ისტორიაში, რაც თავისთავად ცხადყოფს მის მეცნიერულ აქტუალობასა და სიახლეს. ჩვენმა დისერტანტმა უაღრესად საინტერესო და საჭირო კვლევა შექმნა, რომელსაც მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად, დიდი სახელმწიფოებრივი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ იგი სამართლიანად იმსახურებს საძიებელ აკადემიურ ხარისხს ფილოლოგიაში.

ვფიქრობთ, ასეთი შესანიშნავი და მაღალი მეცნიერული დონის რეცენზიების წაკითხვის შემდგომ გული სიამაყით გვევსება, რომ ჩვენი დოქტორანტის, ნათელა მელიქიძის სადისერტაციო ნაშრომმა ასეთი შეფასება დაიმსახურა. რა თქმა უნდა, მარტო დოქტორანტის დამსახურებად არ შეიძლება ჩაითვალოს მისი ასეთი წარმატება. ბუნებრივია, აქვე ჩანს მისი ხელმძღვანელის, პროფესორ მერაბ ბერიძის თავდაუზოგავი შრომა, რომელსაც ის ავლენს თითოეული დოქტორანტის წინაშე. უღრმესი მადლობა მას ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის. უფალმა შეაძლებინოს და გამოაზრდევინოს მრავალი ღირსეული დოქტორი, რომელიც შემდეგში გამოადგება ჩვენს უნივერსიტეტს, რაშიც ეჭვი არ გვეპარება.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვუღოცავთ ქალბატონ ნათელას დისერტაციის ღირსეულ დაცვას და სამომავლოდ ვუსურვებთ კვლავაც მრავალ წარმატებას.

ინფორმაციები

● **4 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოხდა ERASMUS+-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტების – INTEGRITY და CURE-ის ფარგლებში განხორციელებული შეხვედრებისა და მობილობების ანგარიშების წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის.

შეხვედრის დასაწყისში erasmus+-ის ინსტიტუციურმა მენეჯერმა, პროფესორმა **თინა გელაშვილმა** ისაუბრა იმ პროექტების შესახებ, რომელშიც ამჟამად ჩართულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ესენია:

1. INTEGRITY (Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia).

2. CURE (Multi-faced program for curricular reform that aims to improve the level of curriculum for Civic Education and Principles of Democracy in teacher-training programs in Israel and in Georgia).

3. ASSET (Assessment Tools for new learning environments in higher education institutions).

მიმდინარე წლის აგვისტოში, INTEGRITY-ის ფარგლებში, განხორციელდა ტრენინგი შვედეთში, უფსალას უნივერსიტეტში. ტრენინგი მოიცავდა პლაგიატის პრევენციისთვის სტუდენტური სერვისების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამავე პროექტის ფარგლებში, შესყიდულ იქნა პლაგიატის აღმომჩენი პროგრამის – „Turnitin"-ის ლიცენზიები. მიმდინარე სემესტრში უნივერსიტეტს გადაეცა 1200 ლიცენზია. შეხვედრაზე დაანონსდა, რომ მომდევნო კვირიდან დაიწყება ტრენინგები პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთათვის, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული „Turnitin"-ი Moodle-ს საშუალებით.

პროექტის – CURE-ს ფარგლებში, აგვისტოს თვეში განხორციელდა სპეციალური მობილობა ესტონეთში, ტალინის უნივერსიტეტში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსმა **ვანო ჯანოვმა** და ამავე განყოფილების სპეციალისტმა **შალვა ოთანაძემ** განიხილეს რამდენიმე თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესში.

● **16 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა მალხაზ ლომსაძემ რეგიონის დამსაქმებლებთან – სასამართლოს მოსამართლეებთან, შეხვედრაზე სამართლისა და სისხლის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პრეზენტაცია გამართა. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა, მოსამართლებმა გამოთქვეს სურვილი, აქტიურად ჩაერთონ პროგრამების განხილვაში და შესაბამისად გარკვეული რეკომენდაციების მომზადების სურვილიც გამოთქვეს, დაიგეგმა სამომავლო შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნება მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და, შესაბამისად, ეს რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მიხედვით.

● **16 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩაატარეს იმიტირებული სასამართლო პროცესი – სისხლის სამართალში განზრახ მკვლელობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 389-ე მუხლის ნაწილით. მონაწილეობდნენ: მოსამართლე – ლამარა თელიაშვილი, სხდომის მდივანი – ჰასმიკ კირაკოსიანი, პროკურორი – მირზა ბურძენიძე, ბრალდებული – ჯანო ჯოხაძე, დამცველები – ანა არუთუნიანი, ლიკა კაპანაძე, მოწმეები – მარიამ ბერიძე, დონარი ლონდარიძე, შოთა ბერიძე, იური მაგრაქველიძე, ლევან ლეკიაშვილი, მარიამიკ გრიგორიანი, ბესიკ ბერიძე, გიორგი კუჭუხიძე, ექსპერტი – მარიამ ლეკიშვილი. სხდომას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ახალციხის მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, სსკ-ის 108-ე და სსკ-ის 389-ე მუხლის I ნაწილით. პროცესის დამთავრების შემდეგ სხდომა შეაჯამა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა როინ თათეშვილმა.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

როგორ აისახება დამსაქმებელთა რეკომენდაციები პროგრამებში

24 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხილვა გაიმართა რეგიონის დამსაქმებლებთან ერთად. შეხვედრა ორი ეტაპისაგან შედგებოდა. თავდაპირველად, პროგრამების ხელმძღვანელებმა, უშუალოდ, პროგრამები განიხილეს. მეორე ეტაპზე, სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით, მოხდა შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა.

შეხვედრა ასოცირებულმა პროფესორმა **ლერი ნოზაძემ** გახსნა, მადლობა მოახსენა დამსაქმებლებს მობრძანებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში მონაწილეობისთვის და აღნიშნა, რომ ყველა მათი რეკომენდაცია აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ფაკულტეტის მხრიდან.

დამსწრეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე** მიესალმა, მადლობა მოახსენა დამსაქმებლებს იმ მზაობისთვის, რაც მათ უნივერსიტეტში მობრძანებით გამოხატეს. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი, მათთან ერთად, აკრედიტაციაზე კიდევ უფრო უკეთეს პროგრამებს წარადგენს და სტუდენტებს მაღალი ხარისხისა და შრომის ბაზართან უფრო მეტად დაახლოებულ სწავლებას შესთავაზებს. **ორ საკითხს მინდა ხაზი გავუსვა. პირველი, ეს არის უნივერსიტეტის გულწრფელი ღიაობა და მზაობა იმისთვის, რომ ნებისმიერი თქვენი წინადადება გავითვალისწინოთ საგანმანათლებლო პროგრამებში, ნებისმიერი თქვენი შენიშვნა გავიგოთ სწორად, ნებისმიერი თქვენი შემოთავაზება მივიღოთ, როგორც ინოვაცია. მეორე მხრივ, ვადასტურებთ, რომ ეს არ გვინდა იყოს ერთჯერადი პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას წარვადგენთ აკრედიტაციაზე, გვსურს, ეს თანამშრომლობა არ დამთავრდეს ამ ეტაპზე და კიდევ გაგრძელდეს. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ იმაში, რომ სამაგისტრო თუ სადოქტორო დონეზე სტუდენტებისთვის შემოთავაზებული პროგრამები თანაბრად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო კვლევაზე, პრაქტიკაზე, საგნების ღრმა შესწავლაზე,** –აღნიშნა რექტორმა.

შეხვედრაზე განსახილველად წარდგენილი იყო სამი პროგრამა: ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა, ხელმძღვანელი პროფესორი რევაზ ჭიღლაძე; აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, ხელმძღვანელები სოფლის მეურნეობის დოქტორები – ზაირა ტყებუჩავა და თამარ სანიკიძე; ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა, ხელმძღვანელები ასოცირებული პროფესორები – ლერი ნოზაძე და ლელა წითაშვილი.

ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე თავად პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **რევაზ ჭიღლაძემ** ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე 11 დოქტორანტი სწავლობს და მათ 180-მდე სამეცნიერო შრომა აქვთ ჰარვარდის კლასიფიკატორის მიხედვით. ისინი, ასევე, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებიც არაერთხელ გაიმართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. ასევე, ახალციხესთან ახლოს, აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის შესახებ ისაუბრა, ბრძანა, რომ დოქტორანტები სამუშაო დღის შემდეგ, ღამის საათებში, აქტიურად აწარმოებენ დაკვირვებებს ციურ სხეულებზე. **ჩვენი მკვლევარების შრომებს ნასა ყოველდღიურად ელოდება, თუ რა წარმატებები არის მოცემულ დროს. მართალია, ღამისთევასთან და დიდ შრომასთან არის ეს ყველაფერი დაკავშირებული, მაგრამ ეს ძალიან საინტერესო საქმიანობაა. უნივერსიტეტს ჰყავს ამ მიმართულებით დოქტორანტები, მომავალშიც ეყოლება, რადგან ამ სპეციალობას საფუძველი ჯერ კიდევ 25 წლის წინ ჩაეყარა და ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს,** – აღნიშნა რავაზ ჭიღლაძემ.

სოფლის მეურნეობის დოქტორმა **ზაირა ტყებუჩავამ** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აგრონომიის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და დამსწრე საზოგადოებას აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესახებ მოახსენა. პროგრამის მიზანს, სტუდენტისათვის აგროტექნოლოგიაში ღრმა და მრავალმხრივი ცოდნის, ასევე, კვლევის თანამედროვე მეთოდების შესწავლა წარმოადგენს. ასევე, პროგრამის მიზანია სტუდენტმა განახორციელოს კვლევები სოფლის მეურნეობაში, ორიენტირდეს დინამიურად ცვლად გარემოში, გამოიყენოს ინფორმაციის, ანალიზისა და სტატისტიკური მონაცემების მეთოდები. აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამებზე მყოფი სტუდენტები თავად აწარმოებენ არაერთ კვლევას. მისი განმარტებით, დამსაქმებლების მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, მათ აღნიშნული კვლევის მეთოდებს გააცნობენ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს ყველანაირად უწყობს ხელს, რათა სწავლება უმაღლეს დონეზე წარიმართოს.

ქალატონმა ზაირამ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება ლაბორატორიის შეძენა, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, სხვადასხვა სახის კვლევები ადგილზევე ჩაატარონ.

პროგრამის გაცნობის შემდგომ, დაისვა არაერთი კითხვა. დამსაქმებლებმა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქვეს მოსაზრებები.

დამსაქმებლებს ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა გააცნო მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ლერი ნოზაძემ.** მან აღნიშნა, რომ პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირებისა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების მიერაა დამუშავებული და კურსდამთავრებულს ანიჭებს ხარისხს – ინჟინერიის მაგისტრი ინტერდისციპლინურ ინფორმატიკაში. **ჩვენი პროგრამის მიზანია ბიზნესთან ინტეგრირება, რათა ხელი შევუწყოთ მაგისტრანტის სამეცნიერო ღირებულებების მქონე მკვლევარ სპეციალისტად ჩამოყალიბებას, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბიზნესის მიმართულებით, რათა მას ჰქონდეს დარგის უახლესი მიღწევების ცოდნა და შეეძლოს მისი პრაქტიკაში განხორციელება,** – აღნიშნა ბატონმა ლერიმ. მისივე განმარტებით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო მრავალფეროვანია. სწავლების დროს შეძენილი კომპეტენციები მაგისტრს საშუალებას მისცემს, ჰქონდეს პრეტენზიები სხვადასხვა სამსახურებში წამყვან პოზიციებზე. ასევე, მაგისტრი შეძლებს წარმატებით წარმართოს საკუთარი ბიზნესპროექტები და ბიზნესსაქმიანობა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

აუდიტორიას საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტების დეკანებმა, პროფესორებმა – **გიორგი მესხმა** და **ცისკარა ზარანდიამ.**

დამსაქმებელთა მხრიდანაც გამოითქვა სურვილები, რეკომენდაციები და მოსაზრებები, რომლებიც, პროგრამების ხელმძღვანელთა განცხადებით, აუცილებლად აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 15 ოქტომბერს, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე. პრეზენტაციის მსმენელები ძირითადად იყვნენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები. შეხვედრა გახსნა და მობრძანებული სტუმრები წარადგინა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **მალხაზ ლომსაძემ.**

დღეს სერიოზული სტუმრები გვესტუმრნენ. ისინი გვესაუბრებიან საინტერესო საკითხებზე. გთხოვთ, ყურადღებით მოუსმინოთ და იაქტიუროთ. გექნებათ კითხვები და ჩვენი სტუმრები მზად არიან, თითოეულ თქვენ კითხვას ამომწურავად უპასუხონ, – ბრძანა ბატონმა მალხაზმა.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა წინაშე პრეზენტაციებით წარსდგნენ საქართველოს პარლამენტის წევრი **ნინო წილოსანი,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი **ქეთი აბულაშვილი** და სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი **გიორგი კაპანაძე**. შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის, უფლებადამცველებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

ადამიანის უფლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებზე

ებს. ჩვენი მიზანია, ვისაუბროთ ადამიანის უფლებების სტრატეგიაზე, რომელიც არსებობს და შესაბამის სამოქმედო გეგმაზე. საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია ოჯახში ძალადობის ფაქტებმა, ბავშვთა ძალადობის თემებმა, გენდერულმა საკითხებმა. შესაბამისად, ამ თემებზე გესაუბრებიან ის ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად აქვთ წვდომა მათზე.

სპიკერებმა ისაუბრეს და უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს ქალთა უფლებების, მათი პოლიტიკაში მონაწილეობისა და ეკონომიკური გაძლიერების შესახებ. ასევე, განიხილეს დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმები. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა სამინისტროში ახლადშექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ამოცანებსა და სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. სტუდენტთა მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები, რომლებიც, სტუმართა აზრით, მათი სამომავლო მუშაობისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

გვერდი მოამზადა
ლიკა ზაზაშვილმა

სიყვარულის ფერმწერი მესხეთის თეატრიდან

პროფესიით ფერმწერია, თუმცა, მხატვროზისა და ლიტერატურის სიყვარულმა 24 წლის წინ თეატრში მიიყვანა. მესხეთის თეატრის სცენოგრაფთან, ლელა ფერაძესთან ვსაუბრობთ ხელოვნებაზე, თეატრზე, განათლებაზე... და მის პირველ გამოფენაზე.

– როგორ მოვიდა მხატვრობა თქვენს ცხოვრებაში?

– არ ვიყავი გენიოსი ბავშვი, ჩვეულებრივად ვხატავდი. ზოგადად, ყველა ბავშვი ხატავს. შეიძლება, მოგიტანოს ქარიშხალი, დავხატეო გითხრას, შენ კი უყურებ და ვერ ხედავ, ამ დროს კი, ზუსტად ესაა ქარიშხალი. ბავშვი ზუსტად გადმოსცემს განცდას. ხუთი წლის ასაკიდან ვხატავდი. ეს განცდა არ მტოვებს და მუდმივად ჩემი შემოქმედების დასაბამია.

მინდა ვახსენო ის ადამიანი, ვინც მხატვრობისკენ მიბიძგა, რობერტ ბერიძე, რომელიც ისტორიის მასწავლებელი იყო. ის მიქებდა ნახატებს.

– თეატრთან ურთიერთობა როგორ დაიწყო?

– ახალგაზრდობაში პიესებს ვწერდი, პროფესიით კი ფერმწერი ვარ. თეატრში გარკვეული სიახლოვის გამო მოვხვდი, ახლანდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, ლია სულუაშვილმა მომანდო ეს საქმე, მახსოვს, რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმაც შემიქო ნამუშევარი. რეალიზმს იქაც გავექეცი, რეალიზმს სულ გავურბივარ, მხატვრობაშიც და ცხოვრებაშიც. იმ პერიოდში აქ მხატვარი არ არსებობდა და გავბედე მოსვლა.

– ახლა როგორია თეატრი? 1993-დან აქ ხართ...

– მოდის მუდმივი მაყურებელი, დავუშვათ, სამასი კაცი. აღმოჩნდება, რომ მათ გარდა თეატრში სხვა არც არავინ დადის. მე ვფიქრობ, თეატრში მოსვლამდეც უნდა იყოს აქტუალური სპექტაკლი და მაყურებლები სპექტაკლის შემდეგაც უნდა სხდებოდნენ სადმე და საუბრობდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებზე. ადრე ასეც იყო, განხილვა და შთაბეჭდილებების გაზიარება თეატრის ცხოვრების ნაწილი იყო.

– ეს გვაფიქრებინებს, რომ მაშინ უფრო აქტუალური იყო თეატრი ქალაქის ცხოვრებაში?

– ხალხი მაშინ მეტად მშიერი იყო და მაინც აინტერესებდა სპექტაკლი. მასკულტურა, უშინაარსო შოუები, ტელევიზიებიდან წამოსული ნაგავი მუშაობს ამაზე. ადამიანები გაუცხოვდნენ შემოქმედებისგან.

– არსებობს მოსაზრება, რომ ქართული თეატრი ღრმა კრიზისშია. ამაზე რას ფიქრობთ?

– გოგი გაბელაია, ოთარ ეგაძე, ავთო ვარსიმაშვილი, ლევან წულაძე – ყველანი მოწადინებული იყვნენ, რომ მესხეთის თეატრში ჩამოსულიყვნენ და ეკეთებინათ სპექტაკლები. მართლაც, მრავალფეროვანი სპექტაკლების სპექტრს გვთავაზობდა თეატრი. ალბათ, ესეც პერიოდია, რომელიც გაივლის.

– ახლახან „ახალციხის ციხეზე“ გქონდათ გამოფენა, რომელიც, როგორც თქვით, ადამიანებს მიუძღვენით...

– ზოგადად, მე გამოფენებს არ ვაკეთებ, ეს გამოფენა ჰგავდა დაბადების დღეს, რომელზეც ძალიან საყვარელი ადამიანები მოვლენ, ისეთი ხალხი, რომლის მოწვევა არც გვჭირდება და თავისით მოდიან. დიდი სიყვარული მაჩუქეს. თუმცა, რომ გითხრა – რამდენიმე კოლეგის გარდა ნახატზე ვინმე მელაპარაკათქო, მოგატყუებ.

– კულტურის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ და ქალაქში დღემდე არ გვაქვს საგამოფენო სივრცე...

– არცერთი! სივრცე არის აუცილებელი გამოფენისთვის. ნახატი სად კიდია, რა გარემოში, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. დიზაინი და ელემენტარულად განათება გჭირდება საიმისოდ, რომ ნახატი გადმოსცე. ქალაქში არ არსებობს საგამოფენო დარბაზი, რამდენ მერთან მქონია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ არ დაადგა საშველი. უკვე ისიც მიკვირს, რომ ჟურნალისტმა საჭიროდ ჩათვალა და მესაუბრება.

– მოგვიყევით, რა ჟანრში ხატავს ლელა ფერაძე და ვინ მოახდინა გავლენა ამ სტილის ჩამოყალიბებაზე?

რეალიზმს რომ გავურბივარ, ეს ზუსტად ვიცი. ვფიქრობ, რომ მაინც მოდერნისტი ვარ. თუმცა, პირობითია ესეც, ჩემი აბსტრაქტულობა შეიძლება უფრო მეტად რეალიზმში იყოს, ვიდრე თვითონ რეალიზმი.

გავლენები... რთული სათქმელია... ფიროსმანის შინაგანი სიყვარული მაქვს. რთულია, მასზე თქვა, როგორი მხატვარია. ერთადერთი მისი გაგების გზაა, რომ თვითონ ხატო. პრიმიტივისტი მხატვარია.

ფარჯიანი! მე კი არა, ფარჯიანის მერე თითქმის ყველა მხატვარი მოექცა მისი გავლენის ქვეშ ალბათ, კარლოს (კაჭარავა) და კიდევ რამდენიმეს გამოკლებით. ძალიან ქართულია, თემატურადაც როგორი გაწონასწორებულია და ამასობაში ემოციურობასაც არ კარგავს.

– რას ფიქრობთ „კარის ხელოვანებზე“. ასეთები დღეს მრავლად არიან?

– ვინ არიან? არც ტელევიზორს ვუყურებ, არც პრესას ვეცნობი, არც ვიცი, ვინ არიან ასეთები, აბა, რა გითხრა. ალბათ, გიჭირს და სხვა გზა რომ არ გაქვს ოჯახის სარჩენად, გიწევს არჩევანის გაკეთება. მე ვფიქრობ, რომ ხელი თუ კარზე მიგიწვდება, იქ სხვა რამესაც შეძლებ. მე პირადად, კარის მხატვრობას მირჩევნია ცოტა მქონდეს.

– რითია თქვენი მხატვრობა შთაგონებული? სიყვარულს ხშირად ახსენებთ, ეს ხომ არაა?

– თავს არ ვთვლი მხატვრად. სრულყოფილების წამია, ალბათ, როდესაც მხატვარი ხდება მხატვარი. ეს შემოქმედებაა, ღმერთს ხშირად უწოდებენ შემოქმედს. ვან გოგი ამბობს, რომ ღმერთმა სამყარო მოწყენილობისას შექმნა ეტიუდად და დაუსრულებელ ნახატს ადარებს. მე ვფიქრობ, რომ შემოქმედმა განვითარების საშუალება მოგვცა.

– ამ „ნახატში“ ადამიანის როლზე რას გვეტყვით?

– მე ვფიქრობ, ვან გოგი დაუსრულებელ ნახატზე საუბარში სწორედ ადამიანის როლს უსვამს ხაზს. ადამიანები მუდმივად ქმნიან სამყაროს. ამ ეტიუდს ვასრულებთ ჩვენ.

– ნახატის შექმნისას ფიქრობთ დამთვალიერებელზე? შენ უნდა მოერგო დამთვალიერებელს, თუ მათში უნდა გამოიწვიო ინტერესი?

– სხვას რომ მოერგო, ვეღარ დახატავ. მე არასდროს მიცდია ეგ. ერთი, რაც შემიძლია ვთქვა, სიყვარული თუ არაა, არ იხატება.

– თქვენ უნივერსიტეტშიც ასწავლით. ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში რა როლი აქვს განათლების პოლიტიკას?

პოლიტიკისგან ძალიან შორს წავედი იმიტომ, რომ ვეღარ ვხედავ ვეღარაფერს, მაგათი დანახვა არ მინდა, ყველანი ერთნაირები არიან, ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობს. ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ უნდა ითქვას ეს.

განათლების სისტემა ნამდვილად მისახედი გვაქვს. ერთადერთი, რაც აქტიურად მაინტერესებს პოლიტიკაში, ესაა განათლების პოლიტიკის ცვლილება. რთული მომენტია, როდესაც გიწევს ურჩიო ახალგაზრდა ადამიანს, გაყვეს მხატვრობას, მაშინ, როდესაც იცი, რომ ის თავის პროფესიით ქვეყანაში ვერ იქნება სათანადოდ დაფასებული. მაგრამ, იცი რას ვფიქრობ? ხომ არის რაღაც, სადღაც გულის სიღრმეში რომ ღიღინებს, ხოდა, უნდა აჰყვე. ფიროსმანზე გაჭირვებული ხომ მაინც ვეღარ იქნები?! გულს უნდა მოუსმინო.

– როგორ ფიქრობთ, ჩვენს ეპოქაში შემოქმედებითობის მტრად რა გვევლინება?

– ვფიქრობ, ეს მოდაა. ტრენდულობა.

– საუბარი ბლიცით დავასრულოთ.

– მუსიკა...

– გაგიკვირდება და 90-იანების რეპი მომწონს, შავკანიანების პოეზია, თავისი გინებით, გულს მფხანს ხოლმე. მანქანაში Rammstein-საც დიდი სიამოვნებით ვუსმენ.

კლასიკოსებიდან ვივალდი ძალიან ახლოს მოდის ჩემთან. თანამედროვე კლასიკიდან ზბიგნევ პრაისნერს გამოვარჩევდი, ჟან გარბარეკს ჯაზიდან.

– ლიტერატურა...

მიგელ დე უნამუნო, გურამ დოჩანაშვილი.

– მხატვარი...

ნანა ყორანაშვილი არის ჩემზე ბევრად ნიჭიერი მხატვარი. ბორჯომელებისთვის ახალციხელია, ახალციხელებისთვის ბორჯომელი. კოსტუმების მხატვარია ჩვენთან. ძალიან თავმდაბალია და ამიტომ არ ჩანს. გირჩევდით, რომ დაინტერესდეთ მისი შემოქმედებით.

ავთო ინასარიძე
„სამხრეთის კარიბჭე“,
22.03.2018

პოეზია

„შემოდგომაა... უჭირს სიყვარულს...“

მაყვალა დავითაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

* * *

ფოთოლთა ცვენას თვალს არიდებ,
მეც თვალს მარიდებ...
ნუ გეშინია,
აღარ ვტირი სიყვარულის ვერახდენილი
სიზმრებისათვის...
კარი ღიაა, შემოდი შიგნით,
მერე რაა, რომ შემოიტან ცოტა სუსხს
სულში,
მერე რაა, რომ ვერ აგვიხდა სიყვარულით
ტკბილი სიზმარი...
ძლიერ აცივდა, ცრემლს დააკლდა
რამდენი სითბო...
ჩამოიქუფრა მოგონების ლურჯი ცა
ნისლით,
შემოდგომის წვრილი წვიმებით
და ფოთოლს, როგორც მკვდარ სიყვარულს,
ყურს არვინ უგდებს.
შემოდი სულში, გარეთ ახლა ძალიან ცივა,
ჩემს ოთახში კი ჩემივ სულის ცეცხლი ანთია,
მე არას გეტყვი მკვდარ სიყვარულზე,
არც ვერახდენილ სიზმრებს გიამბობ.
შემოდგომაა, უჭირს სიყვარულს...

* * *

დავიწყებიდან
გახსენებამდე
ანდა პირიქით...
მე ლოდინს ვგავარ...
გულში მენთო
სიყვარულის დიდი ხანძარი,
ვგონებს, ჩაინვა...
დამრჩა ღადარი და
სინანული
შენი არყოფნის...
სად ხარ?
ან როდის,
როდის იქნები?
ნაცრადქცეული მე ისევ აქ ვარ...
ალბათ, არ იცი,
რა განვიცადე.
ქარები ხელზე გადავიმტვრიე...
უსასო ფოთლის შარიშურებს
ვგლოვობ უცრემლოდ...
ჰო, შენ რა იცი...
ღადარივით ვარ,
ღადარი კი ინახავს სითბოს,
უფრო მეტ სითბოს,
ვიდრე კოცონი...

* * *

თიბათვის მზეს უმღეროდა გალა,
მე ვაღმერთებ შემოდგომის ქარებს...
გულსაკლავად დაჩოქილი მოსთქვამს
და აწყდება ჩემი სულის კარებს...

დეკემბერში გამოვიხმობ წარსულს,
გაზაფხულებს ველოდები მშვიდად!

* * *

როცა მდინარე ჩაიცვამს კორდებს
ტანზე და
მიწა აისხამს მძივებს,
მე მოვალ შენთან,
ჩიტივით ფრთხილი
და მოგიყვები მარტისფერ
სიზმრებს...
როდესაც ფერებს ჩაიცვამს
მარტი
და ფიქრს გამითბობს
შენზე ფიქრები,
მზეს გამოვყვები
მე წარსულიდან
და მერე... მერე
ერთად ვიქნებით...

* * *

შემოდგომის ნისლს
ვერ გავექეცი...
თქორი და ჟინჟღლი
ფიქრის ძაფს
მიწყვეტს
და წარსულის
ზღაპარს მიამბობს...
მე სულ მახსოვხარ,
და შენზე ფიქრებს,
რძეში ჩაფშვნილი
პურის გემო აქვს...
დღეს მომავლიდან
ვიფერებ ფერებს,
ცალფად აგებულს
ფიქრის წვერზე...
შემოდგომაა...
ცხადად ვხედავ
სისხლნაკლულ
სიზმრებს...
შემოდგომაა...
უჭირს სიყვარულს!

პირველი თოვლი

ზეცა დაზავდა
მიწასთან წუხელ
და ზავის ნიშნად
ნაძვის ტოტებზე
გამოჰფინა
თეთრი
ალამი...
თეთრად გათენდა...

* * *

ვერ შემჭამ, დარდო ტიალო,
არ მოგცემ მაგის ნებასა...
შენად მონად და მსახურად,
არ გავუზრდივარ დედასა...
ბოროტის ელდით მაშინებ,
სიბნელეს თესავ ერშია,
სანათას ჯიშის ქალი ვარ...
ვერა, ვერ გამტეხ წელშია.
დღეს დღეც არ მტკივა...
წარსულს დავუთმე
ფერთა ზეიმი
და ყველა სიტყვა,
რომელიც გვითქვამს,
გულზე მანვება
და პასუხს დღეს მთხოვს...
ხელებს მისუსხავს ბასრი ცხოვრება,
ჯიუტ ბავშვივით არა ვნებდები...
მე გამოღმით ვარ...
სავალია შენამდე ძნელი...
და შენთან ყოფნა სანატრელია...
მოვალ, ავისხამ მძივებად ცრემლებს
და გეტყვი სათქმელს,
რომლის გამხელაც
ვერ მოვასწარი...
მერე მოგისმენ,
მორჩილად და სულის კანკალით...
შენ ვერახდენილ
სიზმრებს
მიამბობ...

* * *

თქვენ გაიღიმებთ,
ჩამთვლით სულელად
თუ მე თქვენ გეტყვით:
პეპელას ფრთაზე უმძიმესი არაფერია...

* * *

მერაბ კოსტავას ხსოვნას

მარადისობას შეერწყა კაცი,
ჩემს საქართველოს და მთელს კავკასს
რომ სჭირდებოდა,
თავისუფლების გზას რომ კვალავდა...
უხმოდ ატირდნენ ალგეთს ლეკვები,
კვნესის მარაბდა
და თეთრი მთები კავკასიის
უფრო მეტად გაჭაღარავდა...

გრიგოლ ხანძთელს

მამაო, გვენგრევა ზეცად მონასტერი,
კარები აღსავლის დაიხშო, დადუმდა,
დღეს მიწამ აჯობა ზეციურ სამყოფს და
საქმენი გამხდარა სარჩევი ხადუმთა...
ღირსო უფლისაო, აღიღე ბაგენი,
ნაცადნი შენ დღეთა დროთი...
წმინდაო, უფლისაო, გვედრი, აგვარიდე
გრძლად მოსაშორებელი შფოთი...

* * *

მივდივარ...
რადგან სული მტკივა და
გულს საგულეში არ აქვს ადგილი,
ვიცი, არ არის არწასვლა რთული...
წასვლაც არ არის ახლა მარტივი.
მივდივარ...
რადგან არყოფნის სევდა
უფრო მეტია ყოფნის მირაჟზე...
ვერ ვირგებ ნიღაბს, ყალბს და გაცრეცილს,
ვეღარ მჭრის თვალებს ყალბი სინაზე...
მივდივარ...
ვტოვებ ნაჭუჭს დამსხვრეულს,
რაც ვერ მოვირგე და ვერ ვივარგე...
გულგანგმირული წავალ ღამით და
ფრდებდამსხვრეული მოვალ დილაზე...
მივდივარ...

* * *

შემოდგომამ სიმწვანე ფიქრის
სველ მუხლებზე გადაიმტვრია...
ფითრდება ფიქრიც...
სისხლნაკლულ სიზმრებს
დაუდგათ დარი...
ჩამოიქუფრა ცა ცრემლთა ჯარით...
მეც გულზე მაწვიმს წვრილი წვიმები...
ცას დაედება გლოვისფერი და
ასეთ ამინდებს მე მოვუხდები.

ზურას

დათალხულია ჩემი სამოსი...
ჩემი სულივით დათალხულია...
არ არის ჩემი...
არც შენ გიყვარდა...
სოსნისფერია ჩვენი ფერი,
ოცნებისა და ფიქრების მსგავსი.
გრამატიკულად ხეები რომ ხეები არის,
ზმნა მხოლობითში შეეწყობა...
არასწორია!
მე ხეები
ფიქრისა და დარდისაგან
გახევებული
არსებები
მგონია
მაინც!

* * *

რა ერქვა იმ განცდას, სული რომ მატკინა?!
აღსავლის კარებთან ფიქრი არ დამცალდა...
ვისთვისაც შარბათი მიმქონდა პეშვებით,
მანვე შემაგება შხამი და სამსალა...
სულის ტკივილამდე მტკივა კაცთა ცოდვა...
შევუნდე ბოროტთ და ავმდომთა,
რადგან ზეცამდეა ახლა ასე ახლოს...
სადაც ჯვარცმაა, იქვეა აღდგომა.

* * *

ნეტავი ახლა ვიყო მესხეთში...
სულს მოვითქვამდით, სულო...
ამიყვავებდა ერკოტის დილა
სულში ვარდსა და სუროს...
ნეტავი ახლა ვიყო ასპინძას,
მტკვრის ნაპირებთან ჯვარდაწერილი,
არ მაფიქრებდეს მტკვრის ჩუმი ოხვრა..
მტკვარში ლოდები... მრავალწერტილი...
უნდა წავიდე ახლა მესხეთში...
ადგილის დედა უჩემოდ დარჩა...
მიწიდან ზეცას ვეწვიო ფიქრით,
სულს მოვახვიო ლურჯი ცის ფარჩა...
ნეტავი ახლა ვიყო მესხეთში...
სულს მოვითქამდი მიწიდან ცამდე...

* * *

ცხოვრებამ ღია გაკვეთილი ჩამიტარა...
დამსწრენი იყვნენ:
ბედისწერა, დარდი, სევდა
და უზომოდ ბევრი, ბევრი ავის მოსურნე –
შური, ღალატი...
სიყვარული – კეთილი მასწავლებელი,
მდუმარედ იჯდა
მარტო, კუთხეში...
დანარჩენები მიიჩნევდნენ – დაბერდაო
და...
არას ჰკითხავდნენ.
უამრავი კითხვა დამისვა სევდამ და
დარდმა...
გაჭირვებით ვუპასუხე,
რადგან წარსულში,
როცა ცხოვრება ამ გაკვეთილს ატარებდა,
ბედისწერამ სიცხე მარგუნა,
ავად ვიყავი...
ის გაკვეთილი ვერ ვისწავლე
და როცა უკვე დარდსა და სევდას
შეკითხვები ამოეწურათ,
ავისმოსურნემ უკარნახა ღია კითხვები...
შურმა „შპარგალკა“ წაახმარა
ავისმოსურნეს...
დიდი წვალებით ვუპასუხე
იმ რთულ შეკითხვებს...
.. და როცა უკვე სამშვიდობოს მეგონა თავი
და რომ მეგონა, ყველა ჭირი გადავიტანე,
თავი წამოჰყო ღალატმა წამსვე
და უამრავი კითხვა დამისვა...
სულ დახურული, მძიმე კითხვები...
მომიკლა სული...
სიყვარული კი – ჩემი კეთილი,
ხანდაზმული მასწავლებელი,
მდუმარედ იჯდა, დაღონებული...
უხმოდ ტიროდა...

* * *

ვითვლი ნაბიჯებს, მივდივარ ქარში,
სულნატკენი და ისევ ეულად...
ახლა ცხოვრებას განვუდგები და...
ალბათ, ვიცხოვრებ მეტაფორულად!

* * *

დღეს მინდა დავიკარგო,
მზეს გავყვე შორს...
ქარმა იჭორაოს,
არ ავყვე ჭორს...
სულის ხმას მოვუსმინო,
ო... როგორ დუმს...
სიავე ავარიდო
ჩემს ნატკენ გულს...
ქარებმა ჭორები
ატარონ გზად...
სულს ვერ დავიბნელებ,
რაც უნდათ, თქვან...
უნდა დავიკარგო,
წავიდე შორს...
რაც უნდათ, ისა თქვან...
არ ვუსმენ.

* * *

ჩვენ თვითონ ვძერწავთ საკუთარ სახეს,
ნაძერწს გახედნის ქარი და წვიმა,
ბედის მორჩილი ისე რა – ცხოვრობს,
ბედის რჩეული ზეცამდე მივა...
ცხრა კარი არის წინ შესახსნელი.
ყველას მარტივად ცხოვრება მართავს,
როცა გამოხსნი კარს მერვეს თრთოლვით,
უნდა შეჩერდე იმ მეცხრე კართან
და დერეფანი, ღმერთთან რომ მიდის,
უნდა დატოვო ისეთი სუფთა,
ბედისწერისგან გაშლილ სუფრაზე,
ისევ ქათქათა დატოვო სუფრა...
არ უნდა შეხსნა ის მეცხრე კარი,
უნდა დანებდე, რაც იყო, იყო!
უნდა იცხოვრო, როგორც ღმერთს სურდა,
ცხოვრების ტვირთიც ამაყად ზიდო...

პ.ს. და რჩევას დედის ვასრულებ დღემდე,
თითქმის ამოვხსენ, ვინა ვარ, რა ვარ...
ჯიუტ ბავშვივით, სუფთა თვალებით,
მდუმარედ ვდგავარ იმ მეცხრე კართან.

* * *

ნაცნობია ჩემთვის სულის ტკივილი,
ნაცნობია ჩემთვის სულის ელდაც,
რადგან მიწას ვერ ვუთხარი სალამი
და შენდობა ვერ ვუთხარი ზეცას...
პეიზაჟი – ახურხლული ფიქრები,
მხატვარია – ბედისწერა დინჯი,
დარდზე დარდით ვიცი, გავითანგები
და ეს მიწაც ახლა ძლიერ მიჭირს...
კვლავ იქნება ალბათ ღამე პირქუში,
კვლავ იტირებს ღრუბლის ჩრდილში
მთვარე,
ნეტავ მალე დაეუფლოს სიმშვიდე,
დარდისაგან ამოვსებულ თვალებს...

ქართული ხასიათი

ისტორიულ-ფსიქოლოგიური ნარკვევი

უჩა ბლუაშვილი
პროფესორი

პირველი გვერდიდან

მაინც, რა მთავარ თავისებურებას გამოყოფდნენ ქართულ ხასიათში მისი მკვლევარები? ჯერ დიდ ინდოელ ფილოსოფოსს, ვივეკანანდას მოვუსმინოთ: **„ყოველ ერს, ისევე, როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო დანარჩენი ბგერა იკრიბება... თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საკუთარი ცხოველმყოფლობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გეზს, ეს ერი კვდება.“** ქართული ხასიათის შესანიშნავ მკვლევარს, გურამ ასათიანს მოჰყავს ვივეკანანდას ეს სიტყვები და იქვე სვამს კითხვას: „... სად, რა მიდამოებში უნდა ვეძიოთ ჩვენი „ცენტრალური ბგერა?“ აი, რას ამბობს იგივე ვივეკანანდა: „კაცთა შორის უფრო მაღალთა და მაღლა მხედთათვის არარაა სახელის მოხვეჭა“. შევადაროთ ახლა ამას რუსთველისეული „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ და დავინახავთ, თუ რაოდენ განსხვავებულია ადამიანის საზრისზე ქართველთა და ინდოელთა წარმოდგენები.

„სახელის მოხვეჭის“ გარეშე ქართული ხასიათი გაუგებარია“, წერს გურამ ასათიანი და ძნელია მას არ დაეთანხმო.

თუმცა, ეს მაინც წვრილმანია, ოღონდ, ძალზე მნიშვნელოვანი წვრილმანი.

მთავარი სხვაა.

ქართული ხასიათის უმთავრესი თავისებურება, მისი „ცენტრალური ბგერა“ კონტრასტულობაა. ქართველები უკიდურესობის ხალხი ვართ. ჩვენი ხასიათი რთულია და წინააღმდეგობრივი. ჭირიც გადაჭარბებული ვიცით და ლხინიც, სიყვარულიც და სიძულვილიც. სასწაულებრივად მაღალი ზნეობაც გვახასიათებს და უზნეობაც შემაძრწუნებლად მდაბალი გვჩვევია. უანგარობაშიც სწორუპოვარნი ვართ და შურიანობაშიც წრეგადასულნი...

ეს ურთიერთგამომრიცხავი, წინააღმდეგობრივი თვისებები ქართველ კაცში უკიდურესი ფორმით თანაარსებობენ. ისინი კი არ ასუსტებენ, არამედ ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. სწორედ ეს არის ქართული ხასიათის შინაგანი დრამატიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ქართულ ხასიათში უკიდურესი იდეალიზმი შერწყმულია უკიდურეს რეალიზმთან. ქართველი მეოცნებეა. სულის სილაღე მისი ხასიათის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. ამავე დროს, ქართველისთვის არაფერი ამქვეყნიური უცხო არ არის. მასში სულიერება ჰარმონიულად ერწყმის ნივთიერს, მატერიალურს.

ქართული ხასიათის ამ მთავარ თვისებაზე ამახვილებდა ყურადღებას ვახუშტი ბატონიშვილი. მისი თქმით, ქართველებმა ერთნაირად „უწყოდნენ ურთიერთთა მტერობა და მოყურობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა“. ისინი ერთნაირი წარმატებით ყოფილან „კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი“-ც.

ქართული ხასიათის ეს ორბუნებოვანება, მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი ერთ საფრთხეს შეიცავს. ამ ხასიათის მხოლოდ ერთ მხარეზე ყურადღების გამახვილება ან მისი იდეალიზაციისკენ გიბიძგებს, ან მისი სრული დაგმობისკენ.

აი, რას ამბობს ჟან შარდენი ქართველებზე: **„ისინი ბიწიერნი არიან, ლოთნი, გარყვნილნი, უნამუსონი, სიტყვის გამტეხელნი, უპირულნი, გამცემ-მოღალატენი, გაიძვერანი. ლოთობაში და გარყვნილებაში ერისკაცთ სასულიერონიც არ ჩამოუვარდებიან. სრულიადაც არ მიაჩნიათ სირცხვილად სასულიერო პირთ, რომ ლამაზი მხევლები ჰყავთ ხასებად“.** იოჰან გოტფრიდ ჰერდერი კი, რომელიც საქართველოში საერთოდ არ ყოფილა და ქართველთა შესახებ მხოლოდ სხვათა მიერ შეკრებილ ცნობებს ეყრდნობა, წერს: **„კიდევ უფრო საბრალოა ქრისტიანული საქართველოს ბედი. აქ ეკლესიებიც არის და მონასტრებიც, პატრიარქებიც ჰყავთ, ეპისკოპოსებიც და ბერებიც. ქართველი ქალები ლამაზები არიან, მამაკაცები – გულადნი. და მაინც, აქ მშობლები შვილებს ჰყიდიან, ქმრები – ცოლებს, მთავრები ქვეშევრდომებს, ხოლო მორწმუნენი – ღვთისმსახურთ. უცნაური ქრისტიანობა სუფევს ამ სულით მხნე და გულით ურწმუნო ქურდბაცაცა ხალხში“.**

ქართველთა ასეთი დახასიათება აშკარად ტენდენციურია. მასში აქცენტი მხოლოდ უარყოფით, ხშირ შემთხვევაში, მეორეხარისხოვან თვისებებზეა გადატანილი. თუმცა, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: ზემოჩამოთვლილი თვისებები ჩვენთვის უცხო არასოდეს ყოფილა. ფაქტია, რომ გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში მამა შვილს ჰყიდდა და ძმა – ძმას. სამეგრელოსა და გურიის მთავრები ყოველწლიურად 12-15 ათასამდე თავიანთ ყმას ჰყიდდენ, ან ცხოველებზე

ცვლიდნენ. იმერეთის სახელოვან მეფეს, სოლომონ პირველს, სპეციალური კანონის გამოცემაც კი დასჭირდა ტყვეთა სყიდვის შავი ჭირივით გავრცელებული პრაქტიკის აღსაკვეთად.

ჩვენთვის არც ლოთობა (უფრო ზუსტად – სუფრასთან დროსტარებისადმი მიდრეკილება) და გარყვნილება იყო უცხო. ლოთებსა და გარყვნილებს კი აღარც სირცხვილ-ნამუსი მოეკითხებოდათ.

და მაინც, ქართველებისადმი თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ჰერდერი ქართველი მამაკაცების „გულადობას“ და „სიმხნევეს“ უსვამს ხაზს, შარდენი კი, სხვა ადგილზე, ქართველთა ნიჭიერებაზე, ზრდილობაზე, მეომრულ შემართებაზე, მათში ღირსების მაღალ გრძნობაზე საუბრობს. ქართველთა ამ თვისებებს უკლებლივ ყველა უცხოელი აღნიშნავს. უცნობი არაბი ისტორიკოსი ქართველ მეომრებზე წერს: **„ქართველი მეომრები არიან წვეროსანნი, პირქუშნი, ზორბა ტანისანი და სარდლის ერთგულნი. მათ სხვა მეომრებთან ისე აქვთ უპირატესობა, როგორც მტაცებელ ცხოველებს სხვა სუსტ ცხოველებთან. ომში საოცრად იბრძვიან, აქვთ შემზარავი ხმა და საოცარი ვაჟკაცობა. ქართველები ომშიც კი მღერიან და საბრძოლოს უკრავენ... ქართული ლაშქარი ერთი მთლიანი რაზმია, რომლის ერთობის შემთხვევაში მათი დამარცხება შეუძლებელია.“** ჯონ სტაინბეკი ქართველებზე წერდა: **„...ეს საოცარი ქართველები ყველაფრით გვჯობდნენ: ჭამაც ჩვენზე მეტი შეეძლოთ, სმაც, ცეკვაც, სიმღერაც... ყველაფერი გამოსდიოდათ, რასაც ხელს მოჰკიდებდნენ!.. მათ სულს ვერაფერი დასცემს, ამ ხალხს თვითმყოფადობას ვერაფერი დაუკარგავს! დამპყრობლები... საუკუნეების განმავლობაში ცდილობდენ მათ წახდენას, მაგრამ კვალიც ვერ დაამჩნიეს მათს ძლიერ სულისკვეთებას.“**

ქართული ხასიათისთვის სრულიად უცხოა პრაგმატიზმი და პედანტური აკურატულობა. ის ვერ ეგუება ვერანაირ მერკანტილიზმს, ანგარიშიანობას. ქართული სულის სილაღე ხშირად ყოველგვარ გონივრულ საზღვრებს სცილდება. ერთი მაგალითი: გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს რუსი მწერლების ჯგუფი ეწვია. ქართველი კოლეგები მათ ჩვეული გულუხვობით მასპინძლობდნენ. ერთ საღამოს რუსი მწერლები შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა, იოსებ ნონეშვილმა წყნეთის აგარაკზე მიიპატიჟა. რა თქმა უნდა, სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა. ჩინებული კახური ღვინით შეზარხოშებულ ერთ სტუმარს მოულოდნელად ხელიდან ძვირფასი ანტიკვარული ფინჯანი გაუვარდა და გაუტყდა. ყველას უხერხულობის გრძნობა დაეუფლა. ამ დროს იოსები სამზარეულოში იყო გასული მზარეულებისთვის მორიგი მითითების მისაცემად. ოთახში დაბრუნებულმა ჯერ დამსხვრეულ ფინჯანს შეხედა, შემდეგ სტუმართა დაზაფრულ სახეებს მოავლო თვალი. „რა თავპირი ჩამოგტირით? ამას დარდობთ?“ – ნამსხვრევებისკენ გაიქნია მან თავი. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ იქვე მდგარ დიდ ბროლის ვაზას წამოავლო ხელი და იატაკზე მთელი ძალით დაანარცხა. „აბა, გეყოფათ გლოვა. მოჟამული სახეები აღარ დავინახო აქ“, – თქვა მან და გულიანად გაიცინა. „ვერანაირი სიტყვები ვერ განმუხტავდა სიტუაციას, იოსების ამ ჭეშმარიტად ქართულმა ჟესტმა კი ერთი ხელის მოსმით მოხსნა უხერხულობაო“, – იხსენებდა მოგვიანებით ამ ამბის შემსწრე ევგენი ევტუშენკო.

პრაგმატული თვალსაზრისით, ნონეშვილის საქციელს გამართლება არა აქვს. ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება სხვა ხალხი, რომლის წარმომადგენელსაც ასეთი რამ, საერთოდ, მოუვა თავში. და ეს არა იმიტომ, რომ ვაზა დაენანება, უბრალოდ, მის გენეტიკურ კოდში ჩადებული პრაგმატიზმი ამ მიმართულებით ფიქრის საშუალებას არ მისცემს.

ქართული ხასიათის ეს თვისება ისეა ჩვენს სულში ჩადუღაბებულ-ჩაკირული, რომ ეროვნულ ცნობიერებადაკარგულ ჩვენს თანამემამულეებშიც კი პირველყოფილი სინდმინდით არის შემონახული. ისევ მაგალითი: თურქეთში სუხიშვილების ანსამბლის ერთ-ერთი გასტროლების დროს ილიკო სუხიშვილს ერთ პატარა მაღაზიაში მამაკაცის პერანგი მოეწონა. მაღაზიის მეპატრონემ 30 ლირა დაუფასა. ილიკო შეევაჭრა – 25 ლირად მომეციო. გამყიდველმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, 30 ლირას გროში არ დააკლდებაო. კარგა ხნის ვაჭრობის შემდეგ მეპატრონე მოტყდა – 28 ლირად წაიღე, ეს ბოლო ფასიაო, უთხრა. ილიკო გაბრაზდა – ვინ არის შენი 2 ლირას მათხოვარიო, უთხრა გამყიდველს. მერე ჯიბიდან ორი ლირა ამოიღო, დაჭმუჭნა და ქუჩაში მოისროლა. ამის დამნახავ გამყიდველს სახე გაებადრა: „შენ ჩვენებური იქნები, სხვა ამას არ იზამდაო“, უთხრა ილიკოს, პერანგი შეუფუთა და უფეშქაშა.

ეს ვაჭარი ლაზი გამოდგა. თხემით ტერფამდე გათურქებულმა ილიკოს საქციელში თავისი თვისება ამოიცნო, ის დაინახა, რის გამოც სხვებს ზემოდან უყურებს, რომლითაც თავი მოაქვს... დაინახა და გაუხარდა. გახარება კი სრულიად არავაჭრული, ჭეშმარიტად ქართული ჟესტით – უცხო კაცისთვის საქონლის ჩუქებით გამოხატა.

ქართული ხასიათი ბედის მაძიებელი ხასიათია. ქართველებისთვის ბედნიერებისკენ ლტოლვა შინაგანი მოთხოვნილებაა. ამასთან, ბედნიერება მას აქ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში სჭირდება. ამიტომაც ქართველისთვის „მოთმენა“, „თვითშეზღუდვა“, „აკრძალვა“ ყველაზე საძულველი სიტყვებია. ის არ ურიგდება დრამატულ აწმყოს და ყველაზე გამოუვალ სიტუაციაშიც სწამს, რომ მომავალი აუცილებლად ბედნიერი იქნება. მას ჰაერივით სჭირდება ბედნიერი გარემო და როდესაც ბედნიერების პირობები არ არსებობს, ის ამ პირობების ილუზიას ქმნის. **„ქართულ სიმხიარულეს საფუძველი არა აქვს. მე ვიტყოდი, კანონიერიც არაა. ეს მხიარულება არის ყველაფრის მიმართ და ყველაფრის საწინააღმდეგოდ. მაშინ, როდესაც ქართველს ყველა საფუძველი აქვს იყოს უბედური, ქართველი ბედს არ ეპუება და ბედნიერებისთვის ჭიდილში იგი მხიარულია...“** – წერდა მერაბ მამარდაშვილი. **„ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს: რაც უნდა გაჭირვება იყოს, ...ჩვენ მაინც ოცნებებსა და იმედებში ვართ... ჩვენს ერს უფრო ეფექტები ამოძრავებს, ვიდრე მოვალეობა“.** ამას უკვე კონსტანტინე კაპანელი ბრძანებს.

ქართველთა ეს თვისება – ბედისადმი დაუმორჩილებლობა და ოპტიმიზმი კარგად ჩანს ხალხური სიმღერის ტექსტში: „მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი, ტირილი დიაცთ წესია, მაცადე, ერთი ავლესო, ხმალჩახმახ ცეცხლის მკვესია, სულ წმინდად მოგამკეინო, რაც ჩემთვის დაგითესია!“

ქართული ხასიათი არა მხოლოდ რთული, მრავალფეროვანიცაა. კახური სიდინჯიდან და პირდაპირობიდან გურულ სიფიცხემდე და მოქნილობამდე იმხელა ეთნოფსიქოლოგიური და მენტალური სივრცეა, რომ უცხო თვალს უჭირს კიდეც მათ შორის საერთო-ქართული ნიშან-თვისებების დანახვა. თუმცა, ქართველური ეთნოსების მრავალფეროვან მოზაიკაში, სხვადასხვა კუთხური კოლორიტის მიღმა დაკვირებული თვალისთვის მაინც იკვეთება საერთო-ქართული ნიშან-თვისებები.

სწორედ ამ ზოგად-ქართულმა დუღაბმა გადაატანინა ჩვენს ხალხს ამდენი განსაცდელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სამეცნიერო ბიბლიოთეკას უნიკალური გამოცემები შეემატა

ხათუნა კვინიხიძე
სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნება ჩვენი პრეროგატივაა. სწორედ ამ მიზნით შევიძინეთ ახალი უნიკალური გამოცემები.

„ქართული მონეტების ოქროს კოლექცია" – ეს გამოცემა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთგვარი მატიანეა. მასში ჩვენი ქვეყნის ისტორიას ქართული მონეტები მოგვითხრობენ. ის გამორჩეულია როგორც შინაარსით, ისე ვიზუალურადაც. ალბომის ტიპის წიგნი შევსებულია ქართული ფულის ისტორიაში არსებული მონეტების ზუსტი ასლებით. უნიკალური წიგნი-ალბომი საშუალებას იძლევა, ხელით შეეხოს უძველეს მონეტებს (მეტალში შესრულებულ ასლს). მონეტების რაოდენობა 24-ია. თითოეული მონეტის ფოტოსურათს თან ერთვის ინფორმაცია შესაბამისი ეპოქის, ისტორიული ვითარებისა და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ნუმიზმატების პროფესიული და დინამიური თხრობა სტრუქტურულად და შინაარსობრივად ძალზედ საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ამ ალბომს, განსაკუთრებით ამ სფეროში დაინტერესებული ადამიანისთვის, მათ შორის, ჩვენი სტუდენტებისთვის, ვინც ეუფლება არქეოლოგიისა და ისტორიის სპეციალობებს.

საბიბლიოთეკო ფონდი გავამდიდრეთ კიდევ ერთი არაჩვეულებრივი გამოცემით – **„ქართველი მწერლები, მონოგრაფიები, ხელნაწერები, ფოტოები"**.

ეს არის უნიკალური გამოცემა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იქმნებოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და სახელმწიფო მუზეუმთან ერთად. შედეგად, პირველად გამოიცა ტყავში ჩასმული, მოოქროვილი კიდეებითა და ძველი ქართული ორნამენტებით გაფორმებული 30-მდე ქართველი კლასიკოსი მწერლის უნიკალური საარქივო ფოტოები, მათი ბიოგრაფიების აქამდე უცნობი დეტალები, უნიკალური ხელნაწერები, ეს ვიზუალური მასალა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული და მათი ხილვის შესაძლებლობა პირველად მიეცა ქართველ მკითხველს.



პროექტი, ერთგვარად, მოიცავს XVII-XX საუკუნის ისტორიას, რომელიც, სამწუხაროდ, აქამდე უცნობი იყო.

წიგნში შესულია ოცდაცხრა მწერლის ბიოგრაფია, სულხან-საბა ორბელიანიდან მირზა გელოვანამდე, XVII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. მას თან ერთვის მდიდარი ფოტომასალა და ხელნაწერები.

მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, აღმოაჩინოს უცნობი ადამიანი თითოეული მწერლის მიღმა, დაინახოს მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები, იხილოს ჩვენი სახელოვანი კლასიკოსი მწერლების აქამდე გამოუქვეყნებელი პორტრეტები, რომელიც შესრულებულია ცნობილი ქართველი მხატვრების მიერ.

„მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმები" – ასე ეწოდება თერთმეტტომეულს, რომელიც მეგზურობას გაგიწევთ იმ სახელგანთქმულ მუზეუმებსა და გალერეებში, სადაც სხვადასხვა კულტურის ფასდაუდებელი მემკვიდრეობაა თავმოყრილი. ხელოვნების სამყაროში ეს დაუვიწყარი წარმოსახვითი მოგზაურობა, ჩვეულებრივ, ქვეყნის ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებული, თითოეული მუზეუმის შექმნისა და განვითარების ამბით, მასში შემავალი კოლექციების მიმოხილვით იწყება, რასაც მოსდევს ცალკეული შედევრის ორიგინალური მხატვრული ანალიზი და, დასასრულს, ხელოვანთა მოკლე ბიოგრაფიული ექსკურსი. მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი ენით გამართული, ღირებული ინფორმაციით დატვირთული და ჩინებული ილუსტრაციებით უხვად შემკული გამოცემა

სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამორჩეული ნიმუშია და ხელოვნების მოყვარულ ყველა ასაკის მკითხველს დააინტერესებს. ეს უნიკალური სერია საშუალებას მისცემს მკითხველს, გადაფურცლოს და შეაბიჯოს მსოფლიო მუზეუმების, ხელოვნებისა და მშვენიერების სამყაროში.

გაზეთ – ინდუსტრიული ქუთაისის „ანალიტიკური ბიოგრაფია", 1939-1940 წწ.

ათეული წლების მანძილზე ეს გამოცემა მხოლოდ საბჭოთა-პროპაგანდისტულ სტატიებსა და დოკუმენტებს როდი აქვეყნებდა; მის ფურცლებზე აისახებოდა ქალაქის ტრადიციები და ყოველდღიური მაჯისცემა, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცვლილებები,



კულტურის სიახლეები; იბეჭდებოდა ლიტერატურულ-მეცნიერებითი პროდუქცია, ფიქსირდებოდა უამრავი გვარ-სახელი, ისტორიული ფაქტები. ამდენად, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული საგაზეთო კომპლექტები უმნიშვნელოვანეს დოკუმენტურ მასალას იძლევა ფართო პროფილის სპეციალისტებისათვისა და დაინტერესებული მკითხველისათვის.

გასაგები ფაქტორების გამო, ეს გამოცემები საკმაოდ ძვირია, ფაქტობრივად, სასაჩუქრე გამოცემებია, მასზე ბევრს ხელი ვერ მიუწვდება. არადა, მკითხველისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის, ეს მართლაც ძალიან საჭირო წიგნებია. სწორედ ამიტომ, მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას იმ მხარდაჭერისთვის, რაც საბიბლიოთეკო ფონდის გამრავალფეროვნებას და გამდიდრებას უწყობს ხელს. სწორედ ასეთი კარგი წიგნების შეძენით ჩვენს სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, გაეცნონ ამ უნიკალურ გამოცემებს და გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

ექვსი ვაკანტური ადგილი და ეროვნული ~ სტუდენტთა დასაქმება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით მოსარგებლე სტუდენტებისთვის, 8 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შედგა შეხვედრა, რომლის მიზანიც გახლდათ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდების დასაქმების წახალისება, მათი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. შეხვედრას შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი **ელისო ლომიძე** გაუძღვა. ქალბატონმა ელისომ გამართა პრეზენტაცია სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით.

პროგრამა ხორციელდება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან და საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან ერთად.

მობრძანებულ სტუმრებსა და სტუდენტებს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **გულიკო ბექაური** მიესალმა. ქალბატონმა გულიკომ აღნიშნა, რომ უკვე რამდენიმე წელია, სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობა წარმატებულია: **მინდა გითხრათ, რომ წლების განმავლობაში, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მსმენელები, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესებში, ასევე, საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო მიმართულებით, აქტიურად მონაწილეობენ. ჩვენ ვითვალისწინებთ უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს, რომელიც გახლავთ ინტეგრაციის ფაქტორი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. წელს, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მივიღეთ 65 მსმენელი. ასევე, 65 ჩაირიცხა მოსამზადებელი პროგრამიდან საბაკალავრო პროგრამაზე. მე მივესალმები ამ სტუდენტთა მოტივაციასა და მონდომებას.**

ელისო ლომიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ტრადიციად დაამკვიდრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების პროგრამის პრეზენტაციის გამართვა. დიდი მადლობა მოახსენა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აქტიური თანამშრომლობისთვის და სტუდენტებს პროგრამაში მონაწილეობისკენ მოუწოდა: **მინდა აღვნიშნო, რომ სტაჟირების პროგრამაში სამცხე-ჯავახეთიდან მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა . გადავწყვიტეთ, თქვენთვის შემოგვეთავაზებინა უფრო მეტი ვაკანტური ადგილი და მეტი მრავალფეროვნება. შესაბამისად, უკვე გამოქვეყნებულია ადგილების რაოდენობა ჩვენს ვებგვერდზე და თქვენ ნახავთ თქვენთვის სასურველ ვაკანსიას ნებისმიერი მიმართულებით.**

ქალბატონმა ელისომ სტაჟირების პროგრამის შექმნის იდეაზეც ისაუბრა: **რადგან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეთა რიცხვი ყოველ წელს იზრდებოდა, თავად სახელმწიფო მინისტრმა იფიქრა ამ პროგრამის მონაწილეებისათვის მეტი ხელშეწყობის მექანიზმზე. შემდეგ ნაბიჯად განისაზღვრა სტაჟირების პროგრამა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო „1+4 პროგრამით" მოსარგებლე სტუდენტების დასაქმებაში, რათა თავი დაიმკვიდრონ მათთვის სასურველი მიმართულებით.**

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სტაჟირების პროცესში, კონკურსის საფუძველზე, 8 ოქტომბრიდან ჩაერთვებიან. განაცხადის მიღება 22 ოქტომბრამდე გასტანს. 2018 წლის მიღებისთვის 500 ადგილია ვაკანტური. სპეციალურად შექმნილი კომისია სტაჟიორებს შეფასების დადგენილი კრიტერიუმებით შეარჩევს. წარმატებული აპლიკანტები 1-დან 6 თვემდე სტაჟირებას სახელმწიფო უწყებებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ ორგანოებში გაივლიან.

სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსში (ახალქალაქი) პრეზენტაცია, 10 ოქტომბერს, ქართული ენის პედაგოგმა ნინო ზუმბაძემ გამართა. მან სტუდენტებს გააცნო ყველა ის შესაძლებლობა, რასაც სტაჟირების პროგრამა სთავაზობთ და სტუდენტთა მხრიდან დასმულ კითხვებსაც უპასუხა.



ლიკა ზაზაშვილი

უნივერსიტეტი წარმატებით პასუხობს სწავლა-სწავლების ახალ მიღგომებს

დარეჯან ვედიაკოვა
სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის დგას ახალი გამოწვევების წინაშე, რასაც წარმატებით უწყობს ფეხს. ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება თავის კვალს ამჩნევს ჩვენი ცხოვრების წესს და ეს კანონზომიერი პროცესია. კანონზომიერია ისიც, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სათანადო ადგილს იკავებს სწავლა-სწავლების პროცესშიც. ელექტრონული სწავლება ერთ-ერთი სასწავლო აქტივობაა, რომელიც ხორციელდება აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებით. დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა თავისთავად მოითხოვს, რომ ციფრული ტექნოლოგიები განვიხილოთ, როგორც ტრადიციული სწავლების სისტემის დანამატი; ის დაინერგა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტშიც, რაც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებად სასწავლო პლატფორმას, რომლის საშუალებით სწავლების პროცესი უფრო მოქნილი და საინტერესო ხდება. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტისა და პედაგოგის ურთიერთობაზე. პედაგოგს ეძლევა საშუალება, უფრო მეტი დამხმარე ლიტერატურა, ვიდეო თუ აუდიო მასალა მიაწოდოს სტუდენტს, მისცეს საინტერესო დავალებები, რასაც სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი სახლში მოამზადებს და ისევ ელექტრონულად დაუბრუნებს პედაგოგს პასუხს. პედაგოგი მას ნახავს არა სასწავლო-საკონტაქტო საათებში, რითაც იზოგება სტუდენტთან უშუალო საკონტაქტო დრო და უფრო რაციონალურად ხდება ამ დროის განაწილება. ელექტრონული სწავლების ელემენტების დანერგვა პასუხობს კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს:

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, რამდენადაც სტუდენტისთვის მოსახერხებელია და ხელსაყრელი სასწავლო მასალასთან და დავალებებთან ასეთი წვდომა. ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის განათლების მიღების ეფექტს.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle დანერგილია 2013 წლიდან. ამ დროის მანძილზე მას, ძირითადად, ვიყენებდით შემაჯამებელი გამოცდების ელექტრონულად ჩატარებისთვის. აქაც მისი დადებითი მხარე არის ის, რომ გამოცდა ტარდება ობიექტურად (რადგან გამორიცხულია სუბიექტის ჩარევა). სტუდენტი მიღებულ ქულას და დაშვებულ შეცდომებს ხედავს გამოცდის დამთავრებისთანავე. სწავლების პროცესში მას ვიყენებდით მხოლოდ საუნივერსიტეტო საგნის – ინფორმატიკისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ელექტრონული სწავლებისათვის საჭიროა ცალკე პროგრამის აკრედიტაცია; ჩვენ კი ის დანერგილი გვაქვს, როგორც ერთ-ერთი სწავლების მეთოდი, ტრადიციული სააუდიტორიო მეცადინეობის პარალელურად, კომბინირებულად, ელექტრონული სწავლების ელემენტებით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი პასუხობს სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და იქმნება ელექტრონული კურსები. უკვე შექმნილია ელექტრონული კურსი 20-მდე საგანში და აქტიურად ინერგება სასწავლო პროცესში მისი გამოყენება.

სწავლების მეთოდის ეს ფორმა განსაკუთრებით ხელსაყრელია სტუდენტისთვის ან სტუდენტთა იმ ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ვერ ან არ იმყოფებიან, მათთვის, ვისაც განათლების მიღება მუშაობის პარალელურად სურთ, რაც ჩვენთვის მტკივნეულია. სტუდენტთა უმრავლესობა მუშაობს იმისათვის, რომ გადაიხადოს სწავლის საფასური და ამის გამო ჩამორჩება სწავლას. აღნიშნული მეთოდი კი ხელს შეუწყობს მათ, ცოდნაც მიიღონ.

იმ სასწავლო პროგრამების სილაბუსებში, რომლებსაც ხელახალი აკრედიტაცია უწევს, აკადემიურ პერსონალს ჩადებული აქვს სწავლების აღნიშნული მეთოდი და, შესაბამისად, შექმნილია ელექტრონული კურსებიც. შედეგად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების საგნების უმეტესობაში და აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის პირველი და მესამე სემესტრის ყველა საგანში არსებობს ელექტრონული კურსი, რომელსაც უკვე იყენებენ.

ჩვენი ცენტრი აკადემიურ პერსონალს აქტიურად უწევს კონსულტაციას, ატარებს ტრენინგებს, როგორც ჯგუფურს, ასევე პერსონალურს, Moodle-ში ელექტრონული კურსების შექმნის თაობაზე. პარალელურად ეწყობა სტუდენტებთან შეხვედრები პროგრამაში ჩართვისა და მისი გამოყენების სწავლებისათვის; ატარებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს – რამდენად მოსწონთ ელექტრონული სწავლების ელემენტების დანერგვა ტრადიციული სწავლების მეთოდებთან პარალელურად. პასუხების 99 პროცენტი დადებითია.

დღეს მეტად აქტუალურია აკადემიური პატიოსნების (პლაგიატის) თემა, რის შესახებაც არის erasmus+-ის ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი პროექტი INTEGRITY. ამ პროგრამაში ჩართულია ჩვენი უნივერსიტეტიც და ამავე პროგრამის ფარგლებში Moodle-ში ჩაშენებულია პლაგიატის ამოცნობის პროგრამა – Turnitin, რასაც წარმატებით ვიყენებთ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესამოწმებლად.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის

მერი სახამბერიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, პროექტის მენეჯერი

უმცირესობათა ინტეგრაცია და მათი სამოქალაქო ჩართულობა დემოკრატიის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. უახლეს კვლევებზე დაყრდნობით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოში ჯერ კიდევ არ არიან ინტეგრირებულნი ადგილობრივ მოსახლეობასთან, მითუმეტეს, არ არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და ამიტომაც ეს ჯგუფი დღესაც ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს, ჯგუფს, რომელიც მოწყვეტილია სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა გახდა მიზეზი ჩვენი უნივერსიტეტის საინიციატივო ჯგუფისათვის, განეხორციელებინა იმ ტიპის პროექტი, რომელიც მოიცავდა დამატებით ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობდა ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ინფორმირებულობის გაზრდას რეგიონში არსებული სიახლეების კვალდაკვალ და საკუთარი არჩევანის გაკეთების გზით სასურველი პროფესიის დაუფლებას.

პროექტი – **„ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების ინიციატივების ხელშეწყობა“,** ოთხი წელია ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიზნად ისახავს ჯავახეთში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, კულტურული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობას.

პროექტის ფარგლებში, 120 მოსწავლე მომზადდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. მათ კონსულტაციებს და გაკვეთილებს ხელმძღვანელობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

პროექტის ბენეფიციარი მოსწავლეები დღეს ირიცხებიან საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში და ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიებს.

გარდა სწავლისა, მოსწავლეები მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობებში, რომელთა დახმარებით ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ და უკეთ შეძლეს ერთმანეთის გაცნობა.

ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა კომპლექსური აქტივობები. მაგალითად, ვიცხოვროთ სუფთა გარემოში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა (სპორტული შეჯიბრი უნივერსიტეტის სპორტული ჯგუფის დახმარებით) და ასე შემდეგ.

2018 წლის 30 ოქტომბერს, განხორციელდა ერთ-ერთი ამ აქტივობიდან – ლაშქრობა ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე ინტეგრაციის დონის გაზრდის, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით. მონაწილეებმა მოინახულეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში შემავალი ხანჩალის, ბუღდაშენისა და მადათაფას აღკვეთილები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მადლობას უხდის ამ პროექტის განხორციელებისათვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ხელმძღვანელობას.

საველე დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია ასპინძის მუნიციპალიტეტში

თამარ მათიაშვილი
ასოცირებული პროფესორი

შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის ფარგლებში, არქეოლოგიით დაინტერესებულ სტუდენტთა მონაწილეობით, ჩატარდა საველე-საძიებო არქეოლოგიური სამუშაოები ასპინძის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ზველი – ჭობარეთის, თმოგვის, მირაშხანის, ნიალა-ახჩიისა და სარო-ხიზაბავრის მიდამოებში.

უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიურ გათხრებს ჩვეულებრივ წინ უძღვის არქეოლოგიური დაზვერვა. განათხარი მასალის შესწავლისას არქეოლოგია ეყრდნობა ნივთიერი ძეგლების ასაკის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის საკუთარ მეთოდებს. ამგვარი შესწავლის შემდეგ არქეოლოგიური ძეგლი ისტორიულ წყაროდ იქცევა. არქეოლოგია ნივთიერი წყაროების მონაცემთა საფუძველზე ახდენს ძველ საზოგადოებათა კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რეკონსტრუქციას. ვინაიდან ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ყოველ საფეხურზე ნივთიერი კულტურა და ყოფა კანონზომიერადაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასთან და რადგან არქეოლოგიური დაზვერვა საკმაოდ მნიშვნელოვანია შემდგომ არქეოლოგიური მასალის გამოსავლენად, ჩვენ გადავწყვიტეთ თავდაპირველად, პროექტისთვის განსაზღვრული თანხა გამოგვეყენებინა, სწორედ, სადაზვერვო-საველე სამუშაოებისათვის. სტუდენტებს ევალებოდათ საველე დღიურის წარმოება, ფოტოფიქსაცია, ძეგლის ან არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, ზუსტი კორდინატების განსაზღვრა ჯიპიესის მეშვეობით, ადგილობრივი მოსახლეობიდან მასალის მოძიება.

ივლისის თვეში პირველი საველე გასვლა გვქონდა სოფელ ზველისა და ჭობარეთის მიდამოებში.

სოფელი ზველი მდებარეობს ერუშეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. ასპინძიდან დაშორებულია 13,5 კილომეტრით. სოფელში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს ზველის წმინდა გიორგის სახელობის ორნავიანი ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრში, ძველ სასაფლაოსთან მდებარეობს. ეკლესიის მიდამო, სადაც მრავლადაა ძველი საფლავის ქვები და საფლავის ქვად გამოყენებული ვერძის ქანდაკებები, შემოსაზღვრულია ქვის მშრალი წყობის გალავნით. ერთსაფეხურიან ცოკოლზე დაფუძნებული ეკლესია სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის, ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვებით, კვადრებით არის ამოყვანილი.

ძეგლი 1944-1945 წლებში არქიტექტორ-რესტავრატორ რუსუდან გვერდწითელის მიერაა აზომილი და დათარიღებულია X ს-ის I ნახევრით.

სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური დაზვერვითი და სტაციონალური სამუშაოები ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. აქ გათხრებს ჯერ არქეოლოგი ტარიელ ჩუბინაშვილი იწყებს, მისი ხელმძღვანელობით ადგილ „რაბათზე" რამდენიმე საცდელი შურფია გავლებული, ხოლო შემდეგ ოთარ ღამბაშიძის ხელმძღვანელობით მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აგრძელებს სოფლის სხვადასხვა უბანში სტაციონალურ გათხრებს.

ძირითადად, გათხრები ტარდებოდა სოფლის შემდეგ უბნებში: ე.წ. „საყდრი ყანებში", „გოხებში", „სამარხი ყანებში", „მორევაში", „კოშკებში", სადაც სხვადასხვა პერიოდის ძეგლები და მასალაა აღმოჩენილი.

„საყდრი ყანები" სოფლის სამხრეთ-დასავლეთითაა გაშლილი. იგი თავის დროზე საძოვარს და სახნავ-სათესს წარმოადგენდა. მას დასავლეთიდან ესაზღვრება „გოხები" (თავისი ყორღანული გორასამარხებით), აღმოსავლეთიდან კი „სამარხი ყანები". მოპოვებული მასალების მიხედვით „საყდრი ყანებში" და „გოხებში", ძირითადად, შუა ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისა (ძვ.წ. XVI-XVსს.) და მისი უშუალო მომდევნო ხანის მატერიალური კულტურაა დაფიქსირებული, ხოლო „სამარხი ყანებიდან" ცნობილია ე.წ. მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლები. სოფელ ზველის ადგილ გოხებში შესწავლილია ყორღანული სამარხები, სადაც აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს ხვიები, დისკოსებურთავიანი საკინძი, სარდიონის მძივები და სხვა. სამარხები დათარიღებულია შუა ბრინჯაოს პერიოდის ბოლო ეტაპით.

წელს, თბილისის ეროვნული მუზეუმისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის თამანშრომლებთან ერთად სოფელ ზველის არქეოლოგიურ გათხრეში მონაწილეობას იღებდნენ მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორები და დოქტორანტები და აგრეთვე მცირე ხნით (ერთი კვირის განმავლობაში) სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტები. გათხრები მიმდინარეობდა „რაბათის" ტერიტორიაზე, სამ უბნად და ადგილ „გოხებში", სადაც გაითხარა ორი ყორღანული ზვინული.

გათხრების პარალელურად, პროექტის ფარგლებში, სტუდენტების მიერ ხდებოდა ზედაპირული დაზვერვა სოფლის მიმდებარე ტერიტორიების. შესაბამისად, აიკრიფა სხვადახვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: შავპრიალა, ყავისფერი სარჩულით და კეცით, ყავისფერი, რუხი, რომლებზეც შეინიშნება სხვადასხვა სახის ორნამენტი – რელიეფური ნაკაწრი, ამოღარული. აგრეთვე, აშკარად ფეოდალური ხანის ცისფრად მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვა.

ადგილ „რაბათზე" აღმოჩენილი ჭურჭლის ნატეხებიდან ყურადღებას იპყრობს შავპრიალა, წითელ-ვარდისფერ სარჩულიანი და ლუქისფრად ნაპრიალები, ხელით ნაძერწი ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც მტკვარ-არაქსულ კულტურას განეკუთვნება. აქვე აღმოჩენილია უფრო მოგვიანო ხანის (შუაბრინჯაოს) და აშკარად ფეოდალური ხანის ჭურჭლის ფრაგმენტები. ყოველივე ეს კი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ადგილ „რაბათზე" მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქმის უწყვეტად გრძელდებოდა ცხოვრება.

დაზვერვითი სამუშაოები ჩავატარეთ, აგრეთვე, სოფელ ჭობარეთის მიდამოებშიც, სადაც წინა წლებში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები გადიოდნენ საველე არქეოლოგიურ პრაქტიკას.

2009 წლიდან სოფელ ზველის დასავლეთით და სოფელ ჭობარეთის ჩრდილოეთით, 800-900 მეტრის დაშორებით, ორ მთას შორის უნაგირისებურად ჩაზნექილ, დატერასებული სამხრეთი კალთის მკვეთრად დახრილ მინდორზე ე.წ. „სატიკნე გორაზე", საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საფრანგეთის ნიცას უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის „წარსულის და თანამედროვე ბიომრავალფეროვნება" ფარგლებში სოფელ ჭობარეთის ნამოსახლარზე და სამაროვანზე მუშაობდა საერთაშორისო ჯგუფი. კომპლექსურმა კვლევამ აჩვენა, რომ მესხეთში მტკვარ-არაქსის კულტურის დროს, ზღვის დონიდან 1600 მეტრ სიმაღლეზე, ითესებოდა ხორბლისა და ქერის რამდენიმე ჯიში, რაც დამტკიცდა პალინოლოგიური, ფიტოლითური და თესლების ანალიზის შედეგად. ნახშირის კვლევამ აჩვენა, რომ ხის არქიტექტურულ კონსტრუქციებში გამოყენებული იყო, ძირითადად, ორი ხის მერქანი – მუხა და ნეკერჩხალი. საფრანგეთში ადამიანის ძვლების იზოტოპურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ჭობარელი მტკვარ-არაქსელი ადამიანის ძირითადი კვება ცხოველური უნდა ყოფილიყო. პალეოეკოლოგიური კვლევის მიხედვით, დადგინდა, რომ ჭობარეთში, მტკვარ-არაქსული კულტურის დროს, სულ სხვა ტიპის ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო – ტყეში ცაცხვი, რცხილა, თელა და ლაფანი იზრდებოდა, რაც

თბილი კლიმატური პირობების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ადამიანი ინტენსიურ მიწათმოქმედებას მისდევდა – ითესებოდა რამდენიმე ჯიშის ხორბალი, ქერი, ღომი და ჭვავი, რაც სამეურნეო ორმოების გარდა, ხელსაფქვავის ორგანული ნაშთების ანალიზმაც დაადასტურა. ბაღებში გაშენებული ჰქონდათ კაკალი და თხილი, მისდევდნენ მევენახეობასაც. საკმაოდ მძლავრად იყო განვითარებული მესაქონლეობა. ამას ადასტურებს მცოხნელთა ნაკელის სოკოს სპორების არსებობა.

ჭობარეთის ნამოსახლარი და სამაროვანი, წინასწარი მონაცემების საფუძველზე, მეცნიერების მიერ დათარიღებულია ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით.

ზველის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ჭობარეთში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 2009 და 2011 წლებში. 2009 წელს საველე სამუშაოები ჩაატარა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, ხოლო 2011 წელს, ერთობლივად, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და საფრანგეთის ნიცას უნივერსიტეტმა. 2012-2016 წლებში ამ ექსპედიციას შეუერთდა ავსტრალიის მელბურნის უნივერსიტეტი. ეროვნული მუზეუმიდან ექსპედიციას ხელმძღვანელობდა არქეოლოგი კახა კახიანი, ხოლო მელბურნის უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო პროფესორი ანტონიო საგონა.

პროექტთან დაკავშირებით, ოქტომბრის თვეში სამი დღის განმავლობაში საველე გასვლა გვქონდა თმოგვის, მირაშხანი-ახჩიის მიდამოებში და ხიზაბავრა – საროში.

„ოქროყანიდან" დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ შემაღლებაზე, ნიალის ველის აღმოსავლეთ ნაწილიდან მდ. მტკვრის ხეობისაკენ დაშვებულ უსახელო ქედურის დაბოლოებას (კონცხს), რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში ცნობილია „ახჩიის გადასახედის" სახელით, ერუშეთის მთიანეთის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს. კონცხს აღმოსავლეთიდან რკალივით შემოუყვება მდ. მტკვარი, აქვე გადის ვარძია-ნიალის საავტომობილი გზატკეცილი. კონცხის ძირში ამ გზას გამოეყოფა ნასოფლარ ახჩიისაკენ და სოფელ მირაშხანისაკენ მიმავალი ავტო-მაგისტრალი. ჩვენს მიერ კონცხის ზედაპირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღნუსხულია ქვაწრეებიანი გორასამარხების ჯგუფი, რომლის ზუსტი კორდინატები დაფიქსირდა ჯიპიესის მეშვეობით, აიკრიფა ზედაპირულად შუაბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა და გაკეთდა ფოტოფიქსაცია. ოქროყანიდან ახჩიისკენ მიმავალ გზაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, მოვინახულეთ თავკვეთულას კლდეში ნაკვეთი ეკლესია, სადაც ახლად გაჭრილ მიწის გზაზე ავკრიფეთ გვიან ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ორნამენტირებული ფრაგმენტები.

როგორც აღვნიშნეთ, საველე დაზვერვითი ერთდღიანი გასვლა გვქონდა სარო–ხიზაბავრის მიდამოებშიც.

სოფელ საროში, ბერბუკების სამაროვანზე, 1989 წელს, ოთარ ღამბაშიძის ხელმძღვანელობით წარმოებულმა არქეოლოგიური სამუშაოებით მოპოვებულმა მასალის ანალიზმა აჩვენა ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისა და ბორჯომ-ახალციხის მხარეში ცნობილი სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების მსგავსება. აღნიშნული გარემოება, ზოგადად, საშუალებას იძლევა, მეტნაკლები წარმოდგენა ვიქონიოთ სამცხე-ჯავახეთის მოცემულ რეგიონში ერთმანეთის მონაცვლე კულტურების გავრცელების შესახებ, რომლის განვითარების პროცესები ისტორიის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს მოიცავს, დაწყებულს გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპიდან ვიდრე ადრეელინისტური ხანის ჩათვლით.

ჩვენც ბერბუკების სამაროვანთან შევჩერდით, რომელიც სოფლის სკოლის მიმდებარედაა. ჯიპიესით დავაფიქსირეთ სამაროვნის ტერიტორია და, ჩვენდა სასიკეთოდ, გავიცანით ადგილობრივი მოსახლე (უშანგი ივანიძე), რომელმაც ჩვენთვის გაიმეტა მის საკარმიდამო ნაკვეთში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი (ხელადა, ცალყურა ქოთანი, მინისებური პასტის მძივი, ბრინჯაოს სამაჯურისა და ბეჭდის ფრაგმენტები). წინასწარი მონაცემებით, ეს მასალა ელინისტური ხანით თარიღდება.

საგანდებოდ უნდა აღინიშნოს საროს მეგალითური ციხე, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. ციხის იმ ნაწილს, რომელშიც საროს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაცაა მოქცეული ზედა ციხეს და, აგრეთვე, საყდრის ციხეს უწოდებს მოსახლეობა. მესამე ციხე საყდრის ციხის დასავლეთითაა აშენებული. მათ შორის „სახიზრების" ხევი ჩამოდის. აღნიშნული ახალციხის სახელითაა ცნობილი. „ციხის ყელის" მიდამოებში, ქვეუბნის ციხის ტერიტორიაზე დადასტურებულია სხვადასხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთები. ამ შემთხვევაშიც სამშენებლო ტექნიკა მეგალითურია. ისინი ხასიათდებიან მშრალი წყობით, მაგრამ აქ ის პროპორციულობა და დახვეწილობა, როგორც გალავნის კედლებშია, არ შეინიშნება.

ხიზაბავრის ჩრდილოეთით მდებარე ვარანტაში გამოვლენილია დიდი ზომის ყორღანული სამარხების ჯგუფი და ეკლესიის ნანგრევები, ასევე, წერაკუნტასა და ოდისების გზაზე ყორღანული ყრილები. ამ მიდამოებში ჩვენს მიერ გაკეთდა ფოტოფიქსაცია და ჯიპიესით დადგინდა ზუსტი კოორდინატები, ზედაპირულად აიკრიფა კერამიკული მასალა.

„და ამოვიდა ია“

გოდერძი ჩოხელის გახსენება







2 ოქტომბერს, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მწერალი, პოეტი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე და თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი – გოდერძი ჩოხელი გაიხსენეს. ღონისძიება მრავალმხრივი შემოქმედის დაბადების დღის თარიღს მიეძღვნა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლალი ბერიძე.

ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჭკნება, თუ მას არ უსმენენ. მეც მინდა ისეთი მწერალი ვიყო, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში, – ეს გახლავთ გოდერძი ჩოხელის სიტყვები და მე მიხარია, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ვიხსენებთ ამ დიდებულ შემოქმედს. ჩვენ გვგონია, რომ საქართველოში ყველას მისი უჭკნობი გოდერძი ჩოხელი ჰყავს, – აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ.

მისალმების შემდგომ, ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ის შეფასებები და მოსაზრებები, რომლებიც ბატონი გოდერძის გენიალურობას უსვამს ხაზს. ფილმის ჩვენების შემდგომ, ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრდები, მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები, რომლებმაც წაიკითხეს ლექსები და ამონარიდები მწერლის პროზაული ნაწარმოებებიდან. გოდერძი ჩოხელი გაიხსენა გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა მარინა ზედელაშვილმა, რომელმაც მწერლის შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

ასოცირებულმა პროფესორმა ვახტანგ ინაურმა აღნიშნა, რომ გოდერძი ჩოხელის გახსენება ჯეროვანი და მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ის ცნობილი მწერალი და ცნობილი რეჟისორია, ამასთან, ის ახალციხესთან ძალიან ახლოსაა, რადგან აქ მისი მკვიდრი ბიძაშვილები ცხოვრობენ. აღნიშნა, რომ მას და გოდერძი ჩოხელს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. **ჩვენ ფილმში ვნახეთ შეფასება გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და შემოქმედების. ვხედავთ, რომ ის სტუდენტობიდანვე გამოირჩეოდა, 23-24 წლის ბიჭი უკვე იღებს ფილმებს. ვხედავთ, რომ იმ დროს სცენარის დეფიციტია და ის თავად წერს მოთხრობებს, სცენარებს. მისი ფილმები არაერთი ჯილდოს მფლობელია. მან შემოიტანა სრულიად ახალი ჟანრი ქართულ პროზაში, შეურწყა ერთმანეთს დრამა და პროზა, ასე მიიღო ძალიან კარგი შედეგი. პრობლემატიკას და თემატიკას თუ შევეხებით, სრულიად ახალი პრობლემები წამოჭრა, შემოიტანა გუდამაყრის თემატიკა აჩვენა ამ მხარის ტრადიციები, ადათწესები. რიგი ადამიანის სახით, შექმნა მნიშვნელოვანი მხატვრული და კინემატოგრაფული სახეები,** – აღნიშნა ბატონმა ვახტანგმა.

ემოციური გახლდათ ასოცირებული პროფესორის, გულიკო ბექაურის გამოსვლა, რომელმაც ცრემლების გარშე ვერ გაიხსენა უდროოდ წასული შემოქმედი. აღნიშნა, რომ მისი მამისა და გოდერძი ჩოხელის ბებიები დები იყვნენ და, რა თქმა უნდა, მათ ოჯახებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ქალბატონმა გულიკომ გაიხსენა 2003 წელი, როდესაც იმჟამინდელი რექტორის, მერაბ ბერიძის ინიციატივით უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა გოდერძი ჩოხელთან. **მამას გოდერძი ძალიან უყვარდა. მან იმ შეხვედრისთვის ლექსი გამომატანა გოდერძისადმი მიძღვნილი და მთხოვა, აუცილებლად წამეკითხა. მახსოვს, სავსე იყო დარბაზი. ვერ აგიხსნით იმ განცდას და ემოციას, როგორ გაუხარდა ბატონ გოდერძის, როდესაც ლექსი წავიკითხე. დიდი მადლობა დამაბარა ძია მოსესთან, ასე ეძახდა მამას. როდესაც მამას ლექსების კრებული გამოვეცით, ბატონმა გოდერძიმ გვთხოვა, რომ წიგნისათვის გამზადებული წანამძღვარი, მისივე ხელნაწერის სახით განგვეთავსებინა. დღეს ეს წიგნი აქ მაქვს,** – აღნიშნა ქალბატონმა გულიკომ და დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა

გოდერძი ჩოხელის ეს სიტყვა.

„მე მოვდიოდი დასაბამიდან და ჩემი სული ყვავილივით მომქონდა შენთვის“. ყველას გვახსოვს მწერლის ეს სიტყვები. სწორედ ეს ციტატა ამშვენებდა სტუდენტურ ჟურნალს, რომელსაც წლების წინ მესამე კურსელმა ფილოლოგებმა დავუდეთ სათავე და რომელსაც ერქვა „სიტყუაი“. ჩვენ ასევე გვინდოდა ჩვენი სულის ნაპერწკლები მოგვეტანა თქვენამდე. გოდერძი ჩოხელი რომ დიდი ადამიანია, გულთმისანი ადამიანი, ეს უცხო არავისთვის არის. კიდევ, ისეთი ადამიანია, რომელიც სიკვდილსაც გიადვილებს და გეუბნება, რომ სიცოცხლე ადამიანად ყოფნის სევდაა და სიკვდილი ადამიანად არყოფნის სევდაო, – აღნიშნა მოწვეულმა პედაგოგმა ნათელა მელიქიძემ.

ღონისძიება შეაჯამა უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ. რექტორმა მადლობა მოახსენა ღონისძიების ორგანიზატორებს, ასევე, სტუდენტებს მონაწილეობისთვის. აღნიშნა, რომ გოდერძი ჩოხელზე ბევრი ითქვა. ამიტომ, ის ისაუბრებს იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გოდერძი ჩოხელი. **ჩვენ დღეს ვართ ღირსნი, ერთი მათრახი გადავიკრათ იმისთვის, რომ ასეთი დიდებული ადამიანი გვყავდა გვერდით და არ დავაფასეთ სათანადოდ, ადამიანი, რომლის შემოქმედება უჩვენოდაც გადასწვდება საუკუნეებს, რომლის ნააზრევი მარადიულია; ადამიანი, რომელსაც უყვარდა თავისი ქვეყანა და მზად იყო, თავისი სულით, გულით ეცხოვრა ამ ქვეყანაში, ყოველთვის დუხჭირად ცხოვრობდა. იქ, სადაც ვილაპარაკებთ გოდერძი ჩოხელზე, იქვე ვთქვათ, რომ ასეთი დიადი ადამიანები ჩვენ გვერდით დადიან და იქნებ ძალიან ცოტა თბილი სიტყვა, ჩვენგან გაღებული, სიყვარული, ჩვენგან გაღებული, სჭირდება ამ ხალხს. ამაზე უნდა დავფიქრდეთ,** – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

რექტორმა „თავისი“ გოდერძი ჩოხელი ლექსით **„მიწამ დააბარა იას“** წარმოადგინა:

მიწამ დააბარა იას:
წადი შვილო,
ქვეყანას თვალი გაუხარე,
სურნელება აფრქვიე,
სიყვარული გაუღვივე ვაჟსა და ქალს,
თორე,
უფრო გამხეცდებიან და
ვაი ისევ ჩვენი ბრალი.
და ამოვიდა ია.

ასე გაიხსენეს დიდი შემოქმედი – გოდერძი ჩოხელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლიკა ზაზაშვილი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge